ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 25 აგვისტო 2005 №194 (2517) ფასი 50 თეთრი

## ლევან კობიაშვილი 2010



„სარბიელის“ ტრადიციული გამოკითხვით 2004-05 წლების საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელმა ლევან კობიაშვილმა „შალკესთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე გააგრძელა.

„ბოლო ათწლეულის განმავლობაში „შალკემ“ ბევრი მნიშვნელოვანი ტრანსფერი განახორციელა, ლევან კობიაშვილი კი მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესო შენაძენია“ — ასე აქებს ასაუერი ქართველს.

თავად ლევანიც კმაყოფილია ახალი კონტრაქტით და ამბობს, „შალკე“ ყოველმხრივ კარგი გუნდია, ჩემი ოცნებაა, მასთან ერთად როდესმე ბუნდესლიგა მოვიგოო.

ცნობისთვის: კობიაშვილმა „შალკეში“ მესამე სეზონი დაიწყო, განვლილ ორში კი 63 მატჩი ჩაატარა და 3 გოლი შეაგდო.

# თასაწყისი



| | | |
|---|---|---|
| ბათუმი | 3:0 | გურია |
| კოლხეთი | 6:0 | მალაროელი |
| სიონი | 6:1 | ლიახვი |
| ამერი | 1:2 | მეშაქრე |
| თბილისი | 3:1 | რუსთავი |
| სპარტაკი | 3:1 | სამგორი |
| კახეთი | 0:3 | ჩიხურა |
| ცხინვალი | 4:4 | გაგრა |

თბილისი — რუსთავი 3:1. მასპინძლებმა დაწინაურებულ სტუმრებს თამაში მაინც შემოუტრიალეს

# ოქროს თაობა



... ენით აუწერელი სიხარული განვიცადეთ. თუ ფინალს წავაგებდით, თბილისში ვბრუნდებოდით, თუ არა, ამერიკაში წავიდოდით. თამაშის დაწყებამდე აბსოლუტურად ყველა დარწმუნებულები ვიყავით, რომ თბილისის ნახვა ცოტა გვიან მოგვიწევდა.

... რაც შეეხება სპეციალისტთა აზრს, ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი ამერიკელი მსაჯების შეფასებებია. ალფრთოვანებულები გვეუბნებოდნენ, ამ პატარა ბიჭებმა მოედანზე ისეთი ცეცხლი დაანთეს, დიდების თამაშებშიც ძნელად ნახავო. მოგვიანებით მთელი გუნდი პიცერიაში მიგვიპატიჟეს და ფულიც კი გვაჩუქეს.

ქუთაისის ტორპედო

## ვინ მოატყუა იბრაგიმი?

ინტერვიუ იბრაგიმ ართვინლისთან

8

# გამიშვი-არ გაგიშვებ ჯარიმებით დამთავრდა
## თბილისურ-ცხინვალურ ჩხუბში მილჩენკოც მოჰყვა...



ანატოლი მილჩენკო და შოთა ბაქრაძე

**„თბილისი"** 2000 ლარით დაჯარიმდა, „ცხინვალის" ფეხბურთელი გაგა ჩიტაია კი 500 ლარს გადაიხდის და ოთხ თამაშს გამოტოვებს — ასეთი ვერდიქტი გამოიტანა სადისციპლინო-ტექნიკურმა კომიტეტმა (სტკ) გუშინდელ სხდომაზე.

მაინც რა მოხდა: გავრცელებული ხმებით, კვირას გამართულ „თბილისი" — „ცხინვალის" ნამატჩევს მასპინძელთა გულშემატკივრებსა და სტუმარ ფეხბურთელთა შორის ისეთი ჩხუბი ატყდა, გარჩევა არ იყო, ვინ ვის ურტყამდა. ამ არეულობის შედეგად ცხინვალელი ფეხბურთელი მიხეილ ფერსაევი დაიჭრა, მისმა რამდენიმე თანაგუნდელმა კი სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო.

როგორც ამბობენ, ჩხუბის ინიციატორი გაგა ჩიტაია ყოფილა, რომელიც „თბილისთან" თამაშში გააძევეს, ის კი მეტოქის კარის უკან დამდგარა და მეკარე გოგიტა სომხიშვილს აგინებდაო — სწორედ ამიტომ დავაჯარიმეთ ჩიტაიაო, თქვეს სტკ-ის წევრებმა. თუმცა ისიც ითქვა, ნამატჩევს ჩიტაია „თბილისის" გულშემატკივრებს და ფეხბურთელებს აღიზიანებდა, ხომ ხედავთ, ათი კაცითაც მოგიგეთო.

სხდომას ორივე გუნდიდან მხოლოდ პრეს-ატაშეები ესწრებოდნენ და, როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უსაფრთხოების ოფიცერმა და სტკ-ის წევრმა ამირან კაჭახიძემ გვითხრა, გამოტანილ განაჩენს არანაირი უკმაყოფილება არ გამოუწვევია. „თბილისის" დასჯის მოტივიც ნათელია: კლუბმა ვერ უზრუნველჰყო თამაშის უსაფრთხოება.

და კიდევ, მატჩის ინსპექტორ ანატოლი მილჩენკოსა და დირექტორ შოთა ბაქრაძის საკითხს უახლოეს დღეებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია განიხილავს.

„მათ ვერ წარმოგვიდგინეს მომხდარი არეულობის სურათი, რის გამოც, შესაძლოა, ერთი ან ორი ტურით დისკვალიფიკაცია მიეცეთ" — გვითხრა ამირან კაჭახიძემ, რომელსაც ფერსაევის დაჭრის თაობაზეც ვკითხეთ, მაგრამ ზუსტი პასუხი ვერ გაგვცა, ეს მხოლოდ ხმებია და ფეხბურთელის დაჭრა ოფიციალურად არ დასტურდებაო.

„ცხინვალის" უფროსი ზურაბ ნასუაშვილი კი ვერდიქტით უკმაყოფილოა, გაგა ჩიტაია ტყუილუბრალოდ დაჩაგრეს, ჩემი თვალით ვნახე ყველაფერიო.

„ჩიტაია თამაშის დასრულებამდე 15-20 წუთით ადრე გააძევეს, იგი აბანოში შევიდა შხაპის მისაღებად და საიდან მოიტანეს, სომხიშვილის კარის უკან დადგა და იგინებოდაო?! გაგა არაა ისეთი ბიჭი, პროვოკაცია მოეწყო: მატჩის შემდეგ „თბილისის" ერთ-ერთმა ფეხბურთელმა დაუძახა და შეკამათდნენ. ფეხბურთელები საქმეს მოაგვარებდნენ, მაყურებელი არ უნდა ჩარეულიყო. ეტყობა, წაგება ვერ აიტანეს.

...ჩვენ 500-ლარიანი ჯარიმალა გვინდოდა, როცა გასვლით მატჩებზე ძლივს დავდივართ?! ჩხუბი ჩვენ არ დაგვიწყია და მაინც დაგვაჯარიმეს. ესაა სამართალი? ისე, ჩივილს არ ვაპირებთ.

...ფერსაევი დანითაა დაჭრილი და ოთხი ნაკერი ადევს. მაინცდამაინც ექიმის ცნობა ყოფილა საჭირო ამის დასამტკიცებლად, თორემ ზოგიერთებს უთქვამთ, ეგებ, თვითონ გაიჭრა ხელიო" — აღშფოთებულია ნასუაშვილი და, მიდი და გაიგე, ვინაა მართალი...

ჩხუბი და არეულობა საქართველოს ჩემპიონატში უცხო ხილი არაა, მაგრამ ფეხბურთელის დაჭრა... ვერ გვემართება კარგი ამბავი.

**ილია ნანობაშვილი**

*მიმდინარე სეზონის დაწყების წინ ქუთაისის „ტორპედოს" კარგი დღე არ ადგა — კლუბი უპატრონოდ დარჩა და მწვრთნელ-ფეხბურთელებიც „ტორპედოდან" აიბარგნენ.*

*სეზონის დაწყებას რამდენიმე დღე უკლდა, როცა ქუთაისელებს სპონსორი გამოუჩნდათ — თურქი და ქართველი ბიზნესმენები, იბრაგიმ ართვინლი და გრიგოლ ხურციძე. ეს ინფორმაცია მაშინ ოფიციალურად გაავრცელა „ტორპედომ", მაგრამ ახლა ირკვევა, რომ თურქ ბიზნესმენს თეთრიც არ დაუხარჯავს „ტორპედოში" და აი, რატომ...*

# ვინ მოატყუა იბრაგიმი?
## მე მხოლოდ ასიანი ტორპედო მინდოდა

— სერიოზულმა ხალხმა შემომთავაზა „ტორპედოს" დახმარება და თან მითხრეს, კლუბის ასპროცენტიანი მეწილე შენ იქნებიო. მაგრამ, როცა დავთანხმდი, მაცნობეს, შენი წილი 40 პროცენტი იქნებაო, მე კი ასეთ გარიგებაში მონაწილეობა არ მინდოდა და ამ საქმიდან გამოვედი.

— ვინ შემოგთავაზათ „ტორპედოს" დაფინანსება?

— ლადო კაკაურიძემ, მას რამდენიმე წელია ვიცნობ, კიდევ ქუთაისის მერიის წარმომადგენელმა, ვინმე ტარიელმა. მაგრამ მათი ბრალი არაა, რაც მოხდა, მათაც უთხრეს, რომ „ტორპედო" ასპროცენტიანი წილით იყიდებოდა.

— გრიგოლ ხურციძეს, „ტორპედოს" ახლანდელ მესვეურს არ იცნობთ?

— არა.

— რა მოტივით გსურდათ „ტორპედოს" შეძენა, საქართველოში საფეხბურთო კლუბის ყოლა ხომ ჯერჯერობით წამგებიანი ბიზნესია?

— ქუთაისში ბევრს ვიცნობ და მინდოდა, დავხმარებოდი „ტორპედოს", ახალგაზრდების ქუჩიდან ფეხბურთში მიყვანა კარგი საქმეა. თანაც ფეხბურთში მუშაობის გამოცდილებაც მაქვს — თურქულ კლუბ „ქოჯაელის" ხელმძღვანელი ვარ, სადაც გივი დიდავა თამაშობს.

— „ტორპედოში" ფული სულ არ დაგიხარჯავთ?

— არა. როგორც კი გავიგე, რომ კლუბს 40-პროცენტიანი დამფუძნებელი უნდა ვყოფილიყავი, მყის გამოვედი საქმიდან.

**დავით თავართქილაძე**

## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006
### მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი
### საპასუხო მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| სლავია (ჩეხეთი) | 0:2 | ანდერლეხტი (ბელგია) | (1:2) |
| აიაქსი (ჰოლანდია) | 3:1 | ბრონდბიუ (დანია) | (2:2) |
| დებრეცენი (უნგრეთი) | 0:3 | მანჩესტერი (ინგლისი) | (0:3) |
| ბრიუგე (ბელგია) | 2:2 | ვოლერენგა (ნორვეგია) | (0:1) 4:3 პენ. |
| რეინჯერსი (შოტლანდია) | 2:0 | ანორთოსისი (კვიპროსი) | (2:1) |
| ვერდერი (გერმანია) | 3:0 | ბაზელი (შვეიცარია) | (1:2) |
| ინტერი (იტალია) | 1:1 | შახტარი (უკრაინა) | (2:0) |
| ვილიარეალი ( ესპანეთი) | 2:1 | ევერტონი (ინგლისი) | (2:1) |

### ინგლისი

**პრემიერლიგა**
**III ტური**

არსენალი 4:1 ფულემი
ჩელსი 4:0 ვესტ ბრომვიჩი
ბლეკბერნი 0:0 ტოტენჰემი
ბოლტონი 2:0 ნიუკასლი

**კარლინგის თასი**

ჩესტერფილდი 2:4 ჰადერსფილდი
კოლჩესტერი 0:2 კარდიფი
დერბი 0:1 გრიმსბი
რაშდენი 0:3 ქოვენთრი
ტორკი 0:0 ბორნმუთი (3:4 პ.)

### გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
**V ტური**

ჰერტა (მ) 2:3 ოსნაბრიუკი
ლევერკუზენი (მ) 0:0 ვატენშტაიდი
მიუნსტერი 3:1 კილი
ვუპერტალი 0:0 ესენი

**სამხრეთ რეგიონალლიგა**
**III ტური**

ეშბორნი 1:1 მიუნხენი
ჰოფენჰაიმი 1:1 რეგენსბურგი
კობლენცი 2:1 ლაუტერნი (მ)
კიკერსი 1:1 ვეენი

### საფრანგეთი

**I დივიზიონი. V ტური**

ლილი 0:0 ტულუზი

### შოტლანდია

**თასი. II ეტაპი**

ინვერნესი 6:1 ალოა

### შვედეთი

**სუპერეტა. XXI ტური**

ბოდენსი 2:2 ფალკენბერგი
მიალბი 0:2 იოსტერსი
ბრომაპოიკარნა 3:0 ტრელებორგი
იორებრო 5:0 ვასტერასი
ვესბი 1:2 დეგერფორსი
ფრიოლუნდა 1:3 ნორჩიოპინგი
ლიუნგსკილე 1:1 აიკ

### ნორვეგია

**I დივიზიონი. XX ტური**

სკეიდი 4:0 ტონსბერგი
ჰონეფოსი 2:1 სტრომგოდსეტი
სტაბეკი 0:1 მოსი

### სლოვენია

**სიმობილლიგა. V ტური**

პრიმორიე 6:1 რუდარი

# ჭელიძე შინიკს სიომინმა ურჩია



**დიდი შანსია,** მოსკოვის „ლოკომოტივის" სარეზერვო გუნდის ბომბარდირი გიორგი ჭელიძე იაროსლავლის „შინიკში" გადავიდეს — ლაპარაკია სეზონის ბოლომდე განათხოვრებაზე.

ამ ამბავს რამდენიმე დღის წინ ჩაეყარა საფუძველი და აი, როგორ: რუსეთის ნაკრების თავკაც იური სიომინის თანაშემწე სწორედაც რომ „შინიკის" მთავარი მწვრთნელი ოლეგ დოლმატოვია, „პაპელო" კი სიომინის ნდობით აქამდეც სარგებლობდა და ვარიანტიც გაიჩარხა. ვფიქრობთ, სწორი ნაბიჯიცაა — „ლოკომოტივის" დუბლებში თამაშს პრემიერლიგელ „შინიკში" თამაში რომ სჯობს, უდავოა.

მოკლედ, გუშინწინ ჭელიძე მოსკოვიდან აიბარგა და იაროსლავლში ჩავიდა. როგორც გავიგეთ, მხარეები თითქმის ყველაფერზე შეთანხმებულან და ალბათ კონტრაქტიც დღე-დღეზე გაფორმდება.

**კახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით ყიფიანის თასი

**მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები**



გიორგი ბურჯანაძის (№10) გოლი „ამერის“ კარში

## მარილის ჭმევა მეშაქრეებისგან

თბილისი. 24 აგვისტო. 17 საათი. ამერი. 600 მაყურებელი

### ამერი 1: 2 მეშაქრე

| | |
|---|---|
| 0:1 ბურჯანაძე (41), 1:1 წინამძღვრიშვილი (67), 1:2 კვეტენაძე (77) | |
| ამერი: ნიკურაძე, დავითნიძე, ხვადაგიანი, ბერიანიძე, გ. კვახაძე (დ. მჭედლიშვილი 46), დეკანოსიძე (ბჟალავა 63), კოშკაძე, ა. კაიდარაშვილი, ს. დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი (გ. ჩხეტიანი 70) *სათადარიგონი:* ლ.ნადირაშვილი; გვაძაბია, ნიკოლაიშვილი, ნ. ნადირაძე<br>მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | მეშაქრე: ბარათელი, ზ. ლომიძე, გ. ლომიძე, ჩადუნელი, ვიშნიაკოვი, გ. ნოზაძე, გ. ბურჯანაძე, გ. კვეტენაძე (ვლასოვი 82), ვერემჩუკი (ფაშაოღლი 64), ხაჩიძე (ბერელიძე 60), თ. გელაშვილი *სათადარიგონი:* ხარშილაძე; დ. გელაშვილი, ბეგოიძე, გოგოლაძე<br>მწვრთნელი: ბადრი ტყემალაძე |
| გაფრთხილება: წინამძღვრიშვილი (50), ბარათელი (50), დავითაშვილი (80), ხაჩიძე (41) | |
| მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. მენთეშაშვილი, მ. ურუშაძე; ბ. ჭიჭინაძე (სამივე თბილისი); | |
| ინსპექტორი: ს. ფიფია | |

**დავით თავართქილაძე**

**უმაღლესლიგელ** „ამერს“ ქედმაღლობა არ გამოუჩენია და ქვედალიგელ „მეშაქრეს“ ოპტიმალური შემადგენლობით დაუხვდა, ანუ ამერელებს არ დავიწყებიათ სათასო მატჩის ზნე და მნიშვნელობა, მაგრამ მეშაქრეებისგან მწარე მარცხი კი იწვნიეს.

„ამერმა“ მიმდინარე სეზონში ზედიზედ მეორედ წააგო, აძ ორ მატჩში ერთი გოლი გაიტანა და ხუთი გაუშვა — ამერელები იღბალს ვერაფერს შესჩივლებენ, როცა ორ თამაშში ხუთ გოლს გაუშვებ, ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალო.

ისიცაა, რომ „ამერი“ გაცილებით უკეთ მოემზადა საამსეზონოდ, ვიდრე პირველლიგელი „მეშაქრე“, მაგრამ სად იყო ის მხნეობა, ჯანი და სისწრაფე, რაც სეზონისწინა ორმა შეკრებამ უნდა მოუტანოს გუნდს?

„ამერი“, როგორც მექანიზმი, გუშინ მორყეული იყო, არც ერთსულოვნება ეტყობოდა გიორგი ჩიხრაძის გუნდს, ფეხბურთელები ერთმანეთს ხშირად ეკამათებოდნენ და უბრაზდებოდნენ, რასაც, ბუნებრივია, ენერგია და ნერვიც მიაქვს.

„მეშაქრეში“ უმაღლეს ლიგაში ნათამაშევი რამდენიმე ფეხბურთელია, მათგან კი გიორგი კვეტენაძე მატჩის გმირი გახდა — არეკნილ ბურთს ისე ამოსცხო, რომ მკვლელი ტრაექტორიით ჩასვა ის გიორგი ნიკურაძის კარის მაღალ კუთხეში.

პირველი საგოლე მომენტიც მეშაქრეებისა იყო — შორეულ ძელთან ჩასაფრებულმა გიორგი ნოზაძემ ახლოდან ვერ იხეირა.

და „ამერის“ გამოუყენებელი მომენტების ჯერი, რომელიც ტყვიამფრქვევივით კი მიუშვა მეტოქეზე, მაგრამ ვაზნები ალბათ საბრძოლო არ იყო: სულიკო დავითაშვილმა ძელს გაარტყა, მერე მისი დარტყმული მცველმა გამოიტანა კარიდან, შემდეგ გიორგი კვახაძემაც მოუსინჯა ძელი აგარელთა კარს, ცოტაც და, ეს გიორგი დეკანოსიძემაც გაიმეორა, დამატებაზე კი ალეკო კოშკაძეს გიორგი ბარათელმა აუღო, მოგვიანებით მანვე არც რატი წინამძღვრიშვილს დაანება გატანა...

მიუხედავად ასეთი სიუჟეტისა, ვერ იტყოდით, „ამერი“ „მეშაქრეს“ მარილს აჭმევსო. აგარელები ყინჩად იდგნენ და გოლსაც გამორჩნენ — ნაკუთხურალ ბურთზე გიორგი ბურჯანაძემ გიორგი ნიკურაძის კარს ლრიჭო თავურით მოუძებნა — 0:1.

ამერელთა მეორე ტაიმში განიავებულ შანსებზეც ვთქვათ: გიორგი დავითნიძის ორი არაზუსტი თავური, ცაცია კოშკაძის მარჯვენათი ვერგატანილი ბურთი ფაქტობრივად ცარიელ კარში, კიდევ რამდენიმე მწვავე ეპიზოდი „მეშაქრეს“ კართან და გამთანაბრებელი გოლიც: დავითნიძემ ბურთი თავით დააგდო, ხოლო კართან ზურგით მდგარმა რატი წინამძღვრიშვილმა მოხდენილი მაკრატელათი იხეირა.

გოლი ჩინებული კი გამოდგა, მაგრამ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდმა მალე თავი შეუძლოდ იგრძნო და შეცვალეს — გოლამდე რამდენიმე წუთით ადრე სარმით მიწაზე დაგდებულს სახეში ძლიერად დარტყმული ბურთი მოხვდა. წინამძღვრიშვილი ვერც სათადარიგოთა სკამზე მომჯობინდა და ნამატჩევს სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში წაიყვანეს. ექიმების გუშინდელი დასკვნით, წინამძღვრიშვილის ტრავმა სერიოზული არაა და რატიმ დაახლოებით ერთ კვირაში უნდა განაახლოს ვარჯიში.

რაც შეეხება მთლიანად „ამერს“, მომდევნო შეხვედრა 28 აგვისტოს აქვს — ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე ტურში თბილისის „დინამოს“ მასპინძლობს და თუ გუშინდელივით ითამაშა...

აგარის „მეშაქრეს“ შაქარლამური გამარჯვების კი არავის სჯეროდა, სტადიონიდან მობილური ტელეფონებით გავრცელებული მატჩის ანგარიში ხუმრობა ეგონათ...

## თბილისის ცქვიტობა ცქვიტაიამ დააჩქარა

თბილისი. 24 აგვისტო. 17 საათი. ოლიმპი. 300 (ტევადობა 3 000)

### თბილისი 3:1 რუსთავი

| | |
|---|---|
| 0:1 ცქვიტაია (33), 1:1 ფიფია (43), 2:1 მიმინოშვილი (54), 3:1 თოფურია (90) | |
| თბილისი: სომხიშვილი, ხაჭიპერაძე, გ. ბერიძე, ხოხონიშვილი, ბოჭოიძე, მიმინოშვილი, ბარამიძე, გოგი ფიფია, დარსაძე (თოფურია 71), კვასხვაძე (ლოლაძე 76), გიორგი იაშვილი (ი. მოდებაძე 25) *სათადარიგონი:* თევდორაძე; ვ. ქორიძე, ლიპარტია<br>მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი | რუსთავი: ბუბუტეიშვილი, დ. ჩოხელი, მეფარიძე, ცქვიტაია, შუბითიძე, ნ. ლაბაძე, თორდია (კვიციანი 48), მჭედლიძე, გობეჯიშვილი, სორდია (ოსიტაიშვილი 68), გუნცაძე *სათადარიგონი:* კ. კობახიძე; მეფარიშვილი, გ. ნადირაშვილი, ლ. მეტრეველი, ი. ჭელიძე<br>მწვრთნელი: ვარლამ კილასონია |
| გაფრთხილება: მოდებაძე (74), ბარამიძე (84) | |
| მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე, ზ. ფიფია; ო. ხეცაძე (სამივე თბილისი) | |

**ილია ნანობაშვილი**

**რუსთაველმა** კახა ცქვიტაიამ ჯარიმიდან ჩაწოდებულს თავი შეაგება და ბურთი ძელისგან ასხლეტით აფართხალდა თბილისელთა კარში — ეს 33-ე წუთზე მოხდა და „თბილისის“ ზოგიერთმა გულშემატკივარმა ამოიოხრა, პირველი ლიგის გუნდთანაც თუ წავაგეთ, აღარ ყოფილა საშველი და ეგ არისო... შევახსენებთ, გიორგი დევდარიანის მართვეებმა ჩემპიონატის საწყის სამ ტურში ქულა ვერ აიღეს და ეგ კი არა, გოლიც ვერ შეაგდეს.

ცქვიტაიას გოლამდეც ჰქონდა მომენტი, მაგრამ მის მძლავრ თავურს „თბილისის“ მეკარე გოგიტა სომხიშვილი გადაეფარა. 21-ე წუთზე რუსთაველთა ფორვარდმა გიორგი გუნცაძემ ძელს გაარტყა ბურთი — მოკლედ, ვარლამ კილასონიას ბიჭები პირველ ტაიმში არაფერს თმობდნენ, თუმცა „თბილისსაც“ ჰქონდა გასატანი და მათგან ყველაზე აქტიურმა თემურ ბარამიძემ სამ-ოთხ რუსთაველს შორის ისე წაიდრიბლინგა და დააქუხა, დაგენანებოდა კაცს, ეს მომენტი უგოლოდ რომ დამთავრდა — სტუმრებს ხარიხა შეეშველა.

მოკლედ, „თბილისი“ გაშვებულმა გოლმა გამოაფხიზლა. მასპინძელთა დაწოლა ძლიერდებოდა, ნიკა კვასხვაძის იდეალურ პასს გიორგი დარსაძემ უგერგილო დარტყმა მიაყოლა, თუმცა 43-ე წუთზე თბილისელთა ლიდერმა გოგი ფიფიამ ლამაზი კომბინაცია ლამაზი დარტყმითვე დაალაზათა — 1:1.

მეორე ტაიმში „თბილისმა“ მარწუხებს მოუჭირა, ფიფია უკვე თავისუფლად დასეირნობდა სტუმართა მცველებში და მომწიფებული გოლიც მალე გავიდა: ლაშა მიმინოშვილმა ნაკუთხურალს თავური დაჰკრა, რუსთაველთა მეკარე ლევან ბუბუტეიშვილმა მოიგერია, მაგრამ დამატებაზეც მიმინოშვილი გაჩნდა და 2:1.

„რუსთავი“ აშკარად დაიღალა, ფორვარდი მანუჩარ კვიციანილა ახერხებდა გამწვავებას, მაგრამ გაუთავებლად ათრევდა ბურთს და ხეირს ვერ გამორჩა. თბილისელებს კი საპასუხო მატჩისთვის ფორის შესაქმნელად მესამე გოლი სჭირდებოდათ და შმაგად გაიწიეს გასატანად — ისევ მიმინოშვილს, ისევ კუთხურიდან, დუბლის გაჩერხება შეეძლო, მაგრამ ხარიხას შეაწყვიტა ბურთი.

თუმცა ზედ მსაჯის საფინალო სასტვენამდე „თბილისმა“ გული მაინც დაიარხეინა — შეცვლაზე შესული მიხეილ თოფურია ბუბუტეიშვილის პირისპირ დარჩა და ბევრი ხლაფორთის გარეშე შეაცურა ბურთი კარში — 3:1.

საშინაო 3:1, ასე ვთქვათ, გამსვლელ ანგარიშად არ ითვლება, მაგრამ ძალიან საეჭვოა, „თბილისმა“ რუსთავში დატოვოს მერვედფინალის საგზური...



რუსთაველებმა თავიანთი კარიდან ბურთი სამჯერ გამოიტანეს



სფფ-ის ბავშვთა ფეხბურთის განყოფილების უფროსი მენეჯერი ავთანდილ შალამბერიძე

# ბავშვური ამბები

## ითამაშე რამდენიც გინდა: სამი ლიგა და ოთხი ჩემპიონატი

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის სათავეში ნოდარ ახალკაცის მოსვლას, ცხადია, ათასგვარი ცვლილებები მოჰყვა და ეს ბავშვთა ფეხბურთსაც შეეხო. ადრე არსებული სამი ასაკობრივი ლიგის გარდა 15 სექტემბრამდე ბავშვთა შორის საქართველოს ჩემპიონატიც დაიწყება ოთხ ასაკში — 1988, 1989, 1990 და 1991 წლებში დაბადებულთა შორის.

ოთხივე ასაკში ჩემპიონატი აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში გაიმართება — თითოეულში 16-16 გუნდი. აღმოსავლეთ ზონაში შეჯიბრებას თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ჩაატარებს, დასავლეთში კი იმერეთის ფეხბურთის ფედერაცია. მთლიანად ჩემპიონატების ჩატარების ორგანიზაცია სფფ-ის ფეხბურთის განვითარების დეპარტამენტის ბავშვთა განყოფილებას ევალება.

შეჯიბრებები გაისად მაისში დასრულდება და იმავე თვის მიწურულს აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში გამარჯვებულები ნეიტრალურ სტადიონზე ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს. მეორეადგილოსნები კი მესამე-მეოთხე ადგილებს გაითამაშებენ.

ბავშვთა ლიგები კი ძველებურად უმაღლესი ლიგის ასაკობრივი გუნდების მონაწილეობით ჩატარდება 1989, 1990 და 1991 წლებში დაბადებულთა შორის. გამონაკლისის სახით, 1989 წელს დაბადებულთა ლიგაში მონაწილე ყველა გუნდს შეუძლია 1988 წელს დაბადებული 10 ჭაბუკი იყოლიოს, რომელთაგან მატჩის ოქმში მაქსიმუმ ხუთს შეიყვანს.

და კიდევ, ყველა ფეხბურთელის მონაცემები და კონტრაქტები კომპიუტერში აღირიცხება. ეს იმიტომ, რომ თუნდაც ისეთი გაუგებრობა აღარ მოხდეს, როგორიც „თბილისის" მცველ გიორგი ხიდეშელის „ზესტაფონში" გადასვლას მოჰყვა.

**ილია ნანობაშვილი**

# მწვრთნელთა მუშაობა უფრო ეფექტური რომ გავხადოთ

*ჩვენს ფეხბურთში დღეს არსებული, რბილად რომ ვთქვათ, არც თუ სახარბიელო მდგომარეობის შესახებ ბევრი რამ ითქვა, დაიწერა და ეს პროცესი ჯერ კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ქართული ფეხბურთის ჩამორჩენას სპეციალისტები და გულშემატკივრები სუბიექტური და ობიექტური ხასიათის მიზეზებით ხსნიან. პრობლემათა ჯგუფი არსებითად სწორად არის განსაზღვრული და მათ განხილვას ამ პატარა წერილში არ შევუდგებით. ისინი გლობალური ხასიათის პრობლემებია და შესაბამისად მათი გადაჭრა ხანგრძლივ დროსა და ფინანსებს მოითხოვს. მათ მოგვარებამდე კი ლოდინის უფლება არა გვაქვს, წუწუნი და უმოქმედობა დამღუპველა. ამიტომ, საჭიროა იმ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მინი-ამოცანების" გადაჭრა, რომელთა მოგვარებაც დღეს არსებულ პირობებშიც შესაძლებელია. მხედველობაში გვაქვს პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციები, რომელთა წვრთნის პროცესში დანერგვა ეფექტურს გახდის ამ პროცესს, ხელს შეუწყობს გამოყენებული საშუალებებისა და მეთოდების ოპტიმიზაციას...*

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომლის არსებობა, ან არარსებობა შესაბამისად ამუხრუჭებს, ან აჩქარებს ფეხბურთის განვითარებას — ესაა მწვრთნელთა კადრების პროფესიული დონე. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ათეული წლების მანძილზე მეტნაკლები წარმატებით ზრდიდა სპეციალისტებს და დღესაც, მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიუხედავად, მწვრთნელთა მომზადების საქმეში კვლავ ძირითადი ორგანიზაციაა.

რამდენიმე წელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უეფას პროგრამების საფუძველზე ატარებს დღევანდელ ფეხბურთში დასაქმებულ მწვრთნელთა ლიცენზირებას. ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც მიზნად მწვრთნელთა პროფესიონალური დონის ამაღლებას ისახავს, მისასალმებელია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის სასურველია სპორტის აკადემიისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის კოორდინირებული მუშაობა და თუ ორივე მხრიდან ამის სურვილი იქნება, მაშინ, ამ თანამშრომლობის დეტალები მოგვიანებით დადგინდება. ყველას ერთად გვმართებს ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე მწვრთნელებს პრაქტიკული დახმარება გავუწიოთ.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რის გაკეთება შეიძლება ფეხბურთელთა მომზადების პროცესის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით და რას ვთავაზობთ მწვრთნელებს.

ცნობილია, რომ მომზადების ნებისმიერ ეტაპზე სასწავლო-საწვრთნო მუშაობის ორგანიზაცია და მისი მართვა რთული პედაგოგიური პროცესია, განსაკუთრებით კი ფეხბურთში, თუნდაც იმიტომ, რომ იგი სპორტის აციკლურ სახეობათა ჯგუფს მიეკუთვნება.

თვითონ მომზადების სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ სათამაშო მოქმედებების შესრულებისას მოთამაშე მუდმივად ცვალებად პირობებში იმყოფება, რაც მისგან ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობების მაქსიმალურ მობილიზებას მოითხოვს. მწვრთნელისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია თითოეული ფეხბურთელის მოქმედებათა შეფასება იმ უბრალო მიზეზით, რომ იგი ყოველთვის ვერ იღებს საჭირო ინფორმაციას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დღის წესრიგში დგება ოპერატიული ობიექტური ინფორმაციის მოპოვების აუცილებლობა.

შევეცდებით დავასაბუთოდ (თუ კი არის ამის საჭიროება), რამდენად მნიშვნელვანია ასეთი სახის ინფორმაცია არამარტო კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ საერთოდ — ფეხბურთელთა მრავალწლიური მომზადების პროცესში.

ყოველი საწვრთნელი მეცადინეობის წინ მწვრთნელი განსაზღვრავს ამოცანებს, მათი განხორციელების საშუალებებს და მეთოდებს, დატვირთვის მოცულობასა და ინტენსივობას, ვარჯიშთა თანმიმდევრობასა და მათი ჩატარების ორგანიზაციას და ა.შ. უმრავლეს შემთხვევაში მწვრთნელი თვითონაც ჩაბმულია ამ პროცესში. იგი ფეხბურთელებთან ერთად მოედანზეა, იძლევა დავალებებს, ახსნა-განმარტებებს, ცდილობს მიუთითოს მოთამაშეებს შეცდომებზე, მაგრამ მიუხედავად დიდი მონდომებისა, მთელი რიგი მომენტები და ხშირად არსებითიც, მისი ყურადღების მიღმა რჩება. მეცადინეობის დამთავრების შემდეგ მწვრთნელს რჩება უკმაყოფილების შეგრძნება — ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა, მოთამაშეთა გარკვეული ჯგუფი პასიურობდა, შესაბამისად დატვირთვის ინტენსივობა დაგეგმილზე დაბალი იყო და ა.შ. მწვრთნელმა არ იცის რამდენჯერ შესრულდა ფეხბურთელის მიერ ესა თუ ის დავალება. როგორი იყო ვარჯიშთა განმეორების რაოდენობა, მათ შორის პაუზები და მრავალი სხვა. აქედან გამომდინარე ჩატარებული მეცადინეობის შეფასება ზოგადია, მოკლებულია კონკრეტიკას, ობიექტურ შეფასებას. შესაბამისად პროცესი ნაკლებ ეფექტურად მიმდინარეობს. ჩვენ შეგვიძლია მწვრთნელს მივაწოდოთ ოპერატიული ინფორმაცია მისთვის საინტერესო ყველა პარამეტზე, პრაქტიკულად ყველა ფეხბურთელის მოქმედებათა შესახებ. ასეთი მონაცემების საფუძველზე მწვრთნელის შენიშვნები ფეხბურთელთა მიმართ უფრო დამაჯერებელი და არგუმენტირებული იქნება და რაც მთავარია, თვითონ მოთამაშეების დამოკიდებულება საწვრთნო პროცესისადმი უფრო შეგნებული და შესაბამისად აქტიური გახდება. მწვრთნელს კი შესაძლებლობა ეძლევა სწორად დაგეგმოს საწვრთნო მუშაობა, შეარჩიოს წვრთნის რაციონალური საშუალებები და მეთოდები, მუდმივად ჰქონდეს ინფორმაცია თითოეული ფეხბურთელის მოქმედებათა ეფექტურობის შესახებ და ა.შ.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ოპერატიული ინფორმაციის როლი თამაშის დროს ფეხბურთელების მოქმედებათა შეფასება-გარჩევისას. მწვრთნელთა აბსოლუტური უმრავლესობა ემოციურად რეაგირებს მატჩის პერიპეტიებზე. ასეთი ფსიქოლოგიური ფონი მათ ხშირად ხელს უშლით მოვლენების, ცალკეულ ფეხბურთელთა მოქმედების ადეკვატურად შეფასებაში. მწვრთნელი დიდხანს რჩება ემოციების ტყვეობაში, რაც ხელს უშლის სწორად და ობიექტურად შეაფასოს გუნდის და ცალკეულ მოთამაშეთა ტექნიკურ-ტაქტიკური მოქმედებების ეფექტურობა. მეტწილად ამას ის გარემოება განაპირობებს, რომ მწვრთნელს ხშირ შემთხვევაში არა აქვს ყოვლისმომცველი ინფორმაცია (მოთამაშეთა ტექნიკურ-ტაქტიკურ მოქმედებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, ბურთის გადაცემათა სახეები და მათი ეფექტურობა შეტევის დამამთავრებელ ფაზაში, ტექნიკური კომბინაციების გათამაშებისას დაშვებული შეცდომების ხასიათი, მოედანზე გადაადგილების ფორმები ინტენსივობის მიხედვით, მოედნის სხვადასხვა ზონაში ტექნიკურ-ტაქტიკურ მოქმედებათა ეფექტურობა და მრავალი სხვა სახის პარამეტრის მონაცემები). დღეს ფართოდ გამოყენებული ვიდეოჩანაწერებიც ვერ იძლევა ასეთი მრავალფეროვანი სახის ინფორმაციას. ეს მხოლოდ მოქმედებათა რეგისტრაციისა და მონაცემთა შემდგომი დამუშავების შემთხვევაშია შესაძლებელი. მწვრთნელი, რომელიც ხედავს, რომ ყოველი თამაშის შემდეგ ამათუ იმ მოქმედებათა შესრულებისას ფიქსირდება ერთი და იგივე ხასიათის შეცდომები, აუცილებლად დაასკვნის, რომ ამ მიმართულებით დამატებითი მუშაობაა აუცილებელი.

საჭიროების შემთხვევაში ანალოგიური ინფორმაციის მოპოვება შეიძლება შესაძლო მოწინააღმდეგის შესახებაც, რაც მატჩისთვის მზადებისას მწვრთნელისათვის ოპტიმალური ტაქტიკური გეგმის შემუშავების წინაპირობა გახდება.

ახლა კი ძალიან მოკლედ იმის შესახებ, როგორ შეიძლება ასეთი ინფორმაციის მიღება და როგორ იყენებდნენ მას წარსულში ცნობილი მწვრთნელები.

გასული საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მონაწილე უმაღლესი ლიგის გუნდების ხელმძღვანელობასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ ე.წ. კომპლექსური სამეცნიერო ჯგუფები.

ასეთი ჯგუფი ფუნქციონირებდა ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზეც. ამ ჯგუფის წევრები ფეხბურთის კათედრის თანამშრომლები ვიყავით. ჩვენი მოვალეობა იყო, დახმარება აღმოგვეჩინა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელობისათვის. ამ დროიდან მოყოლებული მოთამაშეთა მოქმედებათა რეგისტრაციის მეთოდიკური უფრო სრულყოფილი ხდება. განსაკუთრებით ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აუდიოაპარატურის გამოყენებამ;

ბატონი ნოდარ ახალკაცი, რომელიც მაშინ თბილისის „დინამოს" გუნდის უფრო იყო (მწვრთნელი მ. იაკუშინი) დაინტერესდა ჩვენი მუშაობით და სისტემატურად ეცნობოდა მის შედეგებს. ცოტა მოგვიანებით, როცა იგი თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი გახდა, ჩვენმა თანამშრომლობამ რეგულარული ხასიათი მიიღო. ბატონი ნოდარი რომ მართლაც მოაზროვნე მწვრთნელი იყო, ჩვენს მიერ მიწოდებული ინფორმაციის ეფექტურად გამოყენებამაც დაადასტურა.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩვენთან თანამშრომლობდნენ საბჭოთა ნაკრების მწვრთნელები ვალერი ლობანოვსკი და იური მოროზოვი. ლენინგრადის „ზენიტის" მწვრთნელმა გერმან ზონინმა (აგრეთვე თბილისის „დინამოს" ყოფილი მწვრთნელი) სპეციალურად სოჭში მიგვიწვია, სადაც გუნდი სეზონისთვის ემზადებოდა. ინფორმაციის მიწოდების ეს მეთოდიკა ეფექტურია იმიტომაც, რომ მწვრთნელის გარდა გუნდის მთელი შემადგენლობა ინტერესით ეცნობა ინფორმაციას თავისი თამაშის შესახებ და დასკვნები გამოაქვს.

ასეთი მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელების დაინტერესება ჩვენი მეთოდიკით, რასაკვირველია, შემთხვევითი არ იყო. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხდებოდა სასწავლო-საწვრთნო მუშაობაში კორექტივების შეტანა, რაც ეფექტურს და მაქსიმალურად ოპტიმალურს ხდიდა ფეხბურთელთა მრავალწლიური მომზადების პროცესს.

დღეს, როდესაც თანამედროვე ფეხბურთში სახეზეა თამაშის ინტენსიფიკაციის ტენდენცია, როდესაც განუხრელად მნიშვნელოვანია დროისა და სივრცის ფაქტორი და ფეხბურთელთა მოძრაობით მოქმედებათა შესრულების სიზუსტე და სისწრაფე ყოველივე ეს კიდევ უფრო ართულებს ოპერატიული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას და ამავე დროის კიდევ უფრო ღირებულს ხდის მას.

დასასრულ, გვინდა ვთხოვოთ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების მწვრთნელებს, ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობას, დაინტერესდნენ და გამოიყენონ ჩვენი გამოცდილება. წლების განმავლობაში აპრობირებული მეთოდიკის საშუალებით პრაქტიკულად თითქმის ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოპოვება შეგვიძლია.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ასეთი თანამშრომლობა გააადვილებს მწვრთნელების შრომას და რაც მთავარია, ხელს შეუწყობს მათი აღსაზრდელების სპორტული ოსტატობის პროცესის ოპტიმიზაციას.

**საქართველოს სპორტის აკადემიის უფროსი მასწავლებლები**

**თენგიზ რატიანი,**

**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი**

**თამაზ ჯაში**

# უძვირესი კაჭკაჭი



მაიკლ ოუენი სამშობლოში ბრუნდება

**„ნიუკასლი“** მადრიდის „რეალს“ მაიკლ ოუენის ტრანსფერზე შეუთანხმდა. ინგლისური მედიის ცნობით, პრემიერლიგურმა გუნდმა ფორვარდის სანაცვლოდ კლუბისთვის სარეკორდო თანხა გადაიხადა. აქამდე რეკორდი ალან შირერს (15 მილიონი გირვანქა) ეკუთვნოდა, რომელიც 1996 წელს „ბლექბერნიდან“ შეიძინეს.

ტრანსფერი შეთანხმებულია, მაგრამ ოუენის აგენტი „ნიუკასლს“ ფეხბურთელის ჯამაგირზე ევაჭრება, რასაც ალბათ მოაკვარახჭინებს. „კაჭკაჭებმა“ 15 მილიონ გირვანქაზე მეტი თუ გაიღეს ფეხბურთელისთვის, ხელფასსაც სილიდურს გაგაუხდიან.

მაიკლ ოუენი მადრიდის „რეალში“ შარშან გადავიდა. ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკიდრა, მაგრამ სეზონში 16 გოლის გატანა მოახერხა. ინგლისელი ფორვარდი „რეალის“ ახალწვეულებმა შეავიწროვეს. მადრიდელებმა ამ ზაფხულს რობინიო და ჟულიო ბაპტისტა შეიძინეს. მათ გარდა გუნდში რაული და რონალდოც არიან, ასეთ კამპანიაში კი ადგილისთვის ბრძოლა ძნელია. მომავალ წელს მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა გაიმართოს, ხოლო მაიკლ ოუენს ნაკრებში თამაში სურს, რისთვისაც მუდმივი პრაქტიკა სჭირდება. ამის შანსი მას „ნიუკასლში“ ექნება, სადაც ძლიერი ფორვარდების ნაკლებობაა. ჯორდებიდან პატრიკ კლუივერტისა და კრეიგ ბელამის წასვლის შემდეგ კლუბი ალან შირერის იმედად დარჩა, რომლის კარიერაც დასასრულისკენ მიექანება და ახლა მაიკლ ოუენი „ნიუკასლისთვის“ მისწრებაა.

შეგახსენებთ, რომ „ლივერპულში“ თამაშისას ოუენმა 297 მატჩში 158 გოლი გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რეალი ასე მთელ ბრაზილიას იყიდის



სისინიო

**ვანდერლეი** ლუშემბურგოს გალაქტიკურ გუნდს მალე არა მადრიდულ, არამედ ბრაზილიურ „რეალს“ დაუძახებენ. ოკეანისგაღმელი მწვრთნელის მოთხოვნით სამეფო კლუბის თავკაცობამ ვანდერლეის კიდევ ერთი თანამემამულე, „სან პაულოს“ მარჯვენა მცველი სისინიო შეუძინა. ბრაზილიელი უკანახაზელი, რომლის გადაბირებასაც ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი“, იტალიური „მილანი“ და ესპანური „ბეტისი“ ცდილობდნენ. მადრიდელებთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, „სანტიაგო ბერნაბეუს“ იანვარში, კლუბთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების მერე მიაკითხავს.

„ძალიან კმაყოფილი ვარ. ეს კონტრაქტი „სან პაულოსთვისაც“ კარგია, ჩემთვისაც და „რეალისთვისაც“. „ბერნაბეუზე“ ბევრი ბრაზილიელი თამაშობს, რაც ახალ კლუბთან ადაპტაციაში დამეხმარება“ — უთხრა სისინიომ ესპანური „მარკას“ კორესპონდენტს.

ახალი ოკეანისგაღმელი ესპანეთის სატახტოში ბრაზილიელთა „სათვისტომოს“ (რობერტო კარლოსი, რონალდო, ბაპტისტა, რობინიო, რიკარდინიო) 7 მილიონი ევროს ფასად შეუერთდება. სისინიოს „რეალში“ ჩასვლის შემდეგ იქაურები ეგებ გარკვეულ პრობლემებს წააწყდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ მარჯვენა მცველის პოზიციაზე სამეფო კლუბს ორი ფეხბურთელი უკვე ჰყავს, მიჩელ სალგადო და კარლოს დიეგო...

**ლადო ხომერიკი**

# ვალდესი ას მილიონად



**ვიქტორ ვალდესი** „ბარსელონაში“ 2010 წლის 30 ივნისამდე იბურთავებს. ძველი ხელშეკრულების თანახმად, მეკარე „კამპ ნოუზე“ 2008 წლამდე უნდა დარჩენილიყო, თუმც სამშაბათ საღამოს პრეზიდენტ ლაპორტის შეუთანხმდა და კიდევ ორი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სხვა გუნდი ვიქტორის შეძენით დაინტერესდება, გვარიანად მოუწევს ჯიბეზე ხელის გაკვრა — ვალდესთან კონტრაქტის გაწყვეტის ფასი ახლა არა 25, არამედ 100 მილიონი ევროა.

„ჩემი მიზანი ბარსაში დარჩენა იყო, სხვა არენაზე გადასვლაზე სერიოზულად არც მიფიქრია. კონტრაქტის განახლების ამბავი ცოტათი გაჭინაურდა, თუმც საბოლოოდ შეთანხმების პირობებზე ცუდი არაფერი მეთქმის“ — აცხადებს ვალდესი, რომელიც, კატალონიური „სპორტის“ ცნობით, „ბარსაში“ უფრო სოლიდურ ანაზღაურებას მიიღებს.

ვიქტორი სამუელ ეტოოს, დეკუს, ხავის და მესის შემდეგ მეხუთეა, ვიცნ „ბარსელონასთან“ კავშირი 2010 წლამდე დააკანონა. მალე ამ ჩაუქ ბიჭებს ალბათ რონალდინიო და კარლეს პუიოლიც შეემატებიან.

**ლადო ხომერიკი**



ხოსე მარია კალვო

# მადრიდელთა სახრეთული არჩევანი

**24 წლის** არგენტინელი ხოსე მარია კალვო, „ბოკა ხუნიორსის“ მარცხენა მცველი, ერთი სეზონით ესპანურ „ატლეტიკოში“ იჯარით იბურთავებს. მას შემდეგ, რაც „ათლეტთა“ პატაგონიელი თავკაცი კარლოს ბიანკი თავის გუნდის უკანა ხაზის ხარვეზებში დარწმუნდა, კლუბის უფროსობას ახალი მცველის მოყვანა სთხოვა და იმათაც აუსრულეს.

თავიდან არგენტინულ-ესპანური მოლაპარაკება გარკვეულმა პრობლემებმა შეაფერხა („ბოკას“ მიზანი კალვოს გაყიდვა იყო, „ატლეტიკო“ კი ოდენ იჯარაზე გახლდათ თანახმა), თუმც მერე ყველაფერი მოგვარდა და „ვისენტე კალდერონის“ არენასაც პარასკევს კიდევ ერთი სამხრეთამერიკელი მიაკითხავს.

ამრიგად, „ათლეტთა“ მარცხენა ფრთა საგრძნობლად გაძლიერდა. საერთოდ კი „ვალდერონზე“ დიდძალი პატაგონიური არმიაა შეკრებილი — მწვრთნელი ბიანკი, ველიო, სანტელია, ლეო ფრანკო, არიელ იბაგასა, მაქსი როდრიგესი, ლუჩიანო გალეტი და ახლა ხოსე მარია კალვო...

„ორი მადრიდული გუნდის, „რეალისა“ და „ატლეტიკოს“ პაექრობას კიდევ მეტი ცეცხლი მოემატა. ერთში ბრაზილიელთა სიმართლეა, მეორეში — არგენტინელების. ადვილი წარმოსადგენია, 2005-06-ის პრიმერადივიზიონში „ბერნაბეუზე“ და „კალდერონზე“ რა ომები გაჩაღდება“ — ვკითხულობთ გუშინდელ ესპანურ „მარკაში“.

**ლადო ხომერიკი**

# დენილსონი ბეტისიდან ფრანგულ ბორდოში




**„ბეტისის“** ექსბრაზილიელი დენისლსონი ამიერიდან ფრანგულ „ბორდოში“ ითამაშებს. გუშინ ოკეანისგაღმელმა მობურთალმა გალურ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ფრანგული ლიგა ყოველთვის მომწონდა და მიხარია, რომ კარიერას იქ გავაგრძელებ“ — განაცხადა დენილსონმა, რომელიც ხელშეკრულების დადებისთანავე სწრაფად გადაფრინდა სევილიიდან საფრანგეთში.

„ბეტისის“ ყოფილი მოთამაშე „ბორდოში“ 22-ნომრიანი მაისურით იბურთავებს. შეგახსენებთ, რომ დენილსონ დე ოლივეირა 1998 წელს ჩაირიცხა სევილიელთა რიგებში და მაშინ მისი ტრანსფერი სარეკორდო გახლდათ.

„ჩემი ძველი გუნდიდან მხოლოდ სასიამოვნო მოგონებები დამრჩება. კი, იყო კონტრაქტთან დაკავშირებული რაღაც გაუგებრობები, თუმცა მათი გახსენებაც აღარ მინდა“ — აღნიშნა 28 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც „ბეტისში“ ოდინდელი შეთანხმების თანახმად კიდევ 4 სეზონით უწევდა ბურთაობა. სატრანსფერო გარიგების ეკონომიურ მხარეს კი ფრანგულ-ესპანური მედია ჯერჯერობით არ ასახელებს.

**ლადო ხომერიკი**

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006

## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები



უდინელი ჩეზარე ნატალი (შუაში) გატანილი გოლით ხარობს

ლოკომოტივი (რუსეთი) 0:1 *რაპიდი (ავსტრია)* (1:1)
0:1 ვალახოვიჩი (84)
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, პაშინინი, ევსეევი, სენიკოვი, გურენკო (რუპოლო 86), ასათიანი, მამინოვი, ბილიალეტდინოვი, ხოხლოვი, სამედოვი (იზმაილოვი 57), ლებედენკო
მწვრთნელი: ვლადიმერ ეშტრეკოვი

პარტიზანი (სერბეთი) 0:0 *პეტრჟალკა (სლოვაკეთი)* (0:0) 3:4 პენ.

*თუნი (შვეიცარია)* 3:0 მალმიო (შვედეთი) (1:0)
1:0 ბერნარდინი (26), 2:0, 3:0 ლუსტრინელი (40, 66)

მონაკო (საფრანგეთი) 2:2 *ბეტისი (ესპანეთი)* (0:1)
0:1 რ. ოლივეირა (16), 1:1 ხერარდი (32), 2:1 მალუდა (62), 2:2 რ. ოლივეირა (75)

*პანათინაიკოსი (საბერძნეთი)* 3:1 ვისლა (პოლონეთი) (1:3) 4:1 დ.დ
1:0 მორისი (62), 2:0 ოლისადებე (65), 2:1 სობოლევსკი (78), 3:1 პაპადოპულოსი (87), 4:1 კოციოსი (114)
გაძევება: სობოლევსკი (90, ვისლა)

*როსენბორგი (ნორვეგია)* 3:2 სტიაუა (რუმინეთი) (1:1)
1:0 სოლი (38), 2:0 შდეგაარდი (57), 3:0 რადოი (60ს.კ.), 3:1 რადოი (74), 3:2 იაკობი (75)

*უდინეზე (იტალია)* 3:2 სპორტინგი (პორტუგალია) (1:0)
1:0 იაკინტა (23პ.), 2:0 ნატალი (35), 2:1 დუალა (38), 3:1 ბარეტო (89), 3:2 პინილია (90)

*ლივერპული (ინგლისი)* 0:1 ცსკა (ბულგარეთი) (3:1)
0:1 ილიევი (16)

# სენსაციური და ისტორიული ლიგის დღე

„თუნმა“, რომლის ბიუჯეტიც 4 მილიონ 300 ათასი დოლარია, გრიალით შეაბიჯა ჩემპიონთა ლიგაში.

„მადრიდის „რეალის“, „ბარსელონას“, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ან „მილანის“ დარ გუნდებთან თამაშზე ჩვენ მხოლოდ ვოცნებობდით, ახლა კი ეს რეალურად შეიძლება მოხდეს“ — თქვა შვეიცარიელთა მწვრთნელმა ურს შიონენბერგერმა.

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე კიევის „დინამოს“ მძლეველმა გუნდმა შვედური „მალმიო“ შედარებით იოლად გაიარა — ორივე მატჩი მოუგო. სტუმრად 1:0 გამარჯვების შემდეგ „თუნმა“ საშინაო შეხვედრაში სარეკორდო, 31 ათასი ქომაგი შეყარა და სკანდინაველებს მარცხი აწვნევინა. მაურო ლუსტრინელიმ, რომელმაც გასულ სეზონში 20 გოლი მიითვალა, შვედებთან დუბლი შეასრულა, ხოლო თუნელთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა ბერნარდიმ ერთი იკმარა.

სლოვაკეთის „პეტრჟალკა“ ბელგრადში გამარჯვებას 34 წლის მეკარე იურაი ჩობეის უნდა უმადლოდეს, რომელმაც 120 წუთის განმავლობაში ბევრჯერ იყოჩაღა, პენალტების სერიაში კი ორი ბურთი მოიგერია.

„პეტრჟალკა“ ამ სეზონში პირველად გახდა სლოვაკეთის ჩემპიონი და პირველივე ცდაზე ჩემპიონთა ლიგაში ამოყო თავი.

კეპიან-ჰალსტუხიანი სერსე კოზმის „უდინეზემ“ ლისაბონის „სპორტინგს“ ორივე მატჩში აჯობა. უდინელთათვის ჩემპიონთა ლიგა ახალი ხილია, მაგრამ საკმაოდ ლონიერი გუნდი ჰყავთ და ჯგუფურ ეტაპზე იოლად არავის დაეჩაგვრინებიან.

„სპორტინგთან“ გამარჯვების შემდეგ სერსე კოზმიმ „უდინეზეს“ ყოფილი მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი აქო, მისი დამსახურებაა აქამდე რომ მოვედითო.

„ყველაზე მეტად პირველი ტაიმის მიწურულს ავნერვიულდი, როცა სტუმრებმა ანგარიშში სხვაობა შეამცირეს. მეორეც რომ გაეტანათ, გაგვიჭირდებოდა, რადგან ჩემს ფეხბურთელებს ასეთ დონეზე თამაშის დიდი გამოცდილება არა აქვთ. საბედნიეროდ, მოგება შევძელით და ამ გუნდით ვამაყობ“ — თქვა კოზმიმ.

„ვერავინ იტყვის, რომ ჩემპიონთა ლიგაში ადგილი დაუმსახურებლად გვერგო — განაცხადა პენალტის გამტანმა იაკინტამ — ჩვენ მეტოქეზე უკეთესად ვითამაშეთ და ორივე შეხვედრაში დავჯაბნეთ“.

აღსანიშნავია, რომ „უდინეზემ“ ლისაბონში სწორედ იაკინტას პენალტის წყალობით მოიგო და თერთმეტმეტრიანი საჯარიმო მაშინაც პირველ ტაიმში დაინიშნა.

უდინეში მეორე გოლი ანტონიო დი ნატალიმ მიითვალა. „სპორტინგის“ მეკარე რიკარდუ გამოსვლაზე შეცდა, დი ნატალიმ კი ბურთს თავი საგოლეედ დაჰკრა. დუალამ ტაიმის მიწურულს ერთი გაქვითა, ხოლო მატჩის ბოლოს გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს.

სევილიის „ბეტისმა“ მონაკოში რუბენ ოლივეირას წყვილი გოლით ფრეს მიაღწია და ისტორიაში პირველად ითამაშებს ჩემპიონთა ლიგაში. ბრაზილიელმა ფორვარდმა სტუმრები მეჩვიდმეტე წუთზე თავური დარტყმით დააწინაურა. ამის შემდეგ ემანუელ ადებაიორმა სევილიელ მეკარეს პირისპირ ვერ აჯობა, მაგრამ მოგვიანებით მისი პასით ხერარდმა იხეირა — 1:1. 36-ე წუთზე მსაჯმა „ბეტისის“ კარში პენალტი დანიშნა, რომელიც კამელ მერიემმა უშნოდ შეასრულა — დობლასმა ბურთი მუხლით მოიგერია.

მეორე ტაიმში, შეცვლაზე ერთი წუთის შესულმა მალუდამ „მონაკო“ წინ გაიყვანა, თუმც ოლივეირამ გათანაბრება მაინც შეძლო — ფინტებით ჩაუარა რამდენიმე მცველს და ბურთი ვარმუზის კარის ზედა კუთხეში შეჭედა.

სოფიის ცსკა-ს სატრაბახოდ ექნება ჩემპიონთა თასის მფლობელი „ლივერპულის“ ძლევა. „მილანთან“ გამარჯვების შემდეგ ლივერპულელებს თამაში არ წაეგოთ და პირველად ბულგარელებთან დამარცხდნენ. სტივენ ჯერარდმა მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა, ხაბი ალონსოს, კარაგერს და ზენდენს კი ბენიტესმა დასვენების უფლება მისცა, რადგან მერსისაიდელებს ხვალ მოსკოვის ცსკა-სთან სუპერთასის მატჩი ელით.

რაფაელ ბენიტესი სოფიელებთან თამაშის შემდეგ გაკრიტიკებულ გუნდს გამოექომაგა: „ჩვენ შარშანაც წავაგეთ შინ „გრაცერთან“, მაგრამ ბოლოს ჩემპიონთა თასი მოვიგეთ — თქვა ესპანელმა — სოფიაში 3:1 ვიმარჯვეთ და ძნელია, ფეხბურთელებს კვლავ ასი პროცენტით დახარჯვა მოსთხოვო, მით უმეტეს პარასკევს სუპერთასის მატჩი გველის და ძალების დაზოგვა გვმართებდა“.

„ლოკომოტივს“ ვენაშიც შეეძლო მოგება და მოსკოვშიც, მაგრამ აურაცხელი საგოლე მომენტების გამოუყენებლობა „რაპიდმა“ არ აპატია. პირველ შეხვედრაში პენალტის გამტანმა ვლახოვიჩმა მოსკოვშიც ივარგა და 84-ე წუთზე „ლოკომოტივი“ დაამწუხრა. აშკარაა, რომ ეშტრეკოვის გუნდს სიჩევის გარეშე შეტევაში საქმე აერია და ეგებ შინაურ ჩემპიონატში პირველი ადგილის შენარჩუნებაც გაუჭირდეს. მოსკოვური მატჩის წინ კი პოლიციამ 27 რუსი ქომაგი გაბაწრა, მათგან 25 გალეშილი იყო და სტადიონის ნაცვლად გამოსაფხიზლებელში მოხვდნენ.

„პანათინაიკოსმა“ „ვისლასთან“ მეორე ტაიმში ფხიანად ითამაშა და ოცდაექვსწუთიან მონაკვეთში სამი გოლი შეაგდო. ერთი გოლი სობოლევსკიმ გაქვითა, რომელიც მატჩის ბოლოს გააძევეს. ოთკაცა პოლონელები დამატებითი დროის მეორე ნახევარში გატყდნენ — კოციოსმა მაიდანს თავით გაუტანა.

„როსენბორგს“ შინაჩემპიონატში საქმე ჭაკად აქვს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში შეძვრომა მოახერხა. მესამოცე წუთისთვის ნორვეგიელები 3:0-ს იგებდნენ, თუმც ერთიმეორის მიყოლებით გაშვებულმა ორმა გოლმა მასპინძლები გვარიანად ანერვიულა. „სტიაუამ“ თამაშის ბოლო თხუთმეტი წუთი „როსენბორგის“ საჯარიმოში, მესამე გოლის ძიებაში გაატარა, მაგრამ რუმინელებმა იონსენის კარის აღება ველარ შეძლეს.

**ვაჟა ხუციშვილი**




„პეტრჟალკას“ ფეხბურთელებმა ისტორიულ გამარჯვებას მიაღწიეს



რიკარდო ოლივეირამ „ბეტისი“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა

## ინტერტოტოს თასი 2005

### ფინალი. საპასუხო მატჩები

ვალენსია (ესპანეთი) 0 : 0 ჰამბურგი (გერმანია) (0:1)

ლანსი (საფრანგეთი) 3 :1 კლუჟი (რუმინეთი) (1:1)

1:0 ჰილტონი (38), 2:0 კულიბალი (76), 3:0 კუზინი (78პ.), 3:1 დ. მუნტიანუ (89)

მარსელი (საფრანგეთი) 5 :1 დეპორტივო (ესპანეთი) (0:2)

1:0 რიბერი (4), 1:1 ანდრადე (8), 2:1 მეტიე (65), 3:1, 4:1 ნიანგი (73, 88), 5:1 ორუმა (90)

გაძევება: რიბერი (9, მარსელი), დუშერი, კაპდევილია (9, 71, დეპორტივო)



ლანსელთა გოლეადორმა ვიტორინო ჰილტონმა (მარცხნივ) ამჯერადაც გაიტანა

# ორი მარსელი

„მარსელი“ ჩემპიონატში და ინტერტოტოზე სხვადასხვა გუნდია. ფრანგულ კლუბს შინაურ სარბიელზე ოთხ ტურში თამაში არ მოუგია. სამაგიეროდ, ინტერტოტოზე გაილაღა.

ფრანკ რიბერიმ მეხუთე წუთზე გახსნა ანგარიში — მოლინას მოგერიებულ ბურთს ახლოდან დაამატა, მაგრამ ჟორჟე ანდრადემ უმალ გაათანაბრა, როცა მასპინძელთა მეკარისა და საბრი ლამუშის შორის გაუგებრობით ისარგებლა.

ამის შემდეგ ალდო დუშერმა და ფრანკი რიბერიმ იჩხუბეს, რასაც ორივეს გაძევება მოჰყვა. წითელი ფერით გაღიზიანებულმა მეტოქეებმა ერთმანეთს ფეხებში ურტყეს, მსაჯმა კი პირველ ტაიმში ყვითელი ბარათი ხუთჯერ იშიშვლა ჯიბიდან.

„მარსელს“ პირველი მატჩი 0:2 ჰქონდა წაგებული და გოლები სჭირდებოდა. მწვრთნელმა ჟან ფერნანდესმა მეორე ტაიმში შემტევი სერჟიო კოკუ შეუშვა და მალე მასპინძლებმა იხეირეს. აბდულაიე მეიტემ ნაკუთხურალ ბურთს თავი საგოლედ დაჰკრა. ამ გოლიდან ექვს წუთში კაპდევილიას მეორე ყვითელი ბარათი წითლად უქციეს და „დეპორტივო“ ცხრა კაცით დარჩა, რასაც მარსელელთა შტურმი და მამადუ ნიანგის გოლი მოჰყვა — 3:1. შეხვედრის დასრულებამდე ორი წუთით ადრე ნიანგმა მეორეც მიითვალა, ხოლო ბოლო წუთზე ორუმამ სამ მცველს ჩაურბინა და მოლინას ბურთი კარიდან მეხუთედ გამოატანინა.

მეორე ფრანგულმა გუნდმა „ლანსმა“, რომელმაც გასულ უქმეებზე „ოსერი“ 7:0 მიანგრია, რუმინული „კლუჟი“ დაჩაგრა. „წითელყვითლები“ პირველი ტაიმის მიწურულს ჰილტონმა დააწინაურა — ჟუსის ჩაწოდებული ბურთი თავით შეაბრძანა სტუმართა კარში.

შესვენების შემდეგ ადამა კულიბალიმ და დანიელ კუზინმა ორწუთიან მონაკვეთში წყვილი გოლი „მიართვეს“ კლუჟელებს. კულიბალიმ მცველთა არეულობით ისარგებლა და ახლოდან გაიტანა, ხოლო კუზინმა მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა.

დორნელ მუნტიანუმ ბოლოს ერთი კი გაქვითა, მაგრამ ამით საქმეს ვერ უშველა.

„ჰამბურგმა“ ვალენსიაში იყოჩაღა. შინ „მშრალი“ კარით და უეფას თასის საგზურით დაბრუნდა. თომას დოლის გუნდს ინტერტოტოზე და ბუნდესლიგაში გოლი არ გაუშვია, ანუ დაცვაში საქმე აწყობილი აქვს. ჰამბურგელებმა „ლამურებიც“ უშანსოდ დატოვეს და ევროგზას აგრძელებენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# უბადლო ვიდუკა

## ინგლისი

### პრემიერლიგა. III ტური

**სანდერლენდი 1:2 სიტი**

0:1 ვასელი (10), 0:2 სინკლერი (35), 1:2 ლე ტალეკი (41)

სანდერლენდი: დევისი, სტაბსი, ბრინი, არკა, ნოსუორთი, ვაითჰედი, მილერი, ველში, ელიოტი, გრეი (სტიდი 45), ლე ტალეკი (ლოურენსი 82)

მწვრთნელი: მიკ მაკარტნი

სიტი: ჯეიმსი, დანი, მილსი, ჯორდანი (ონუჰა 75), ტეტჩერი, სინკლერი, ბარტონი, რეინა, მუსამპა (ჯიჰაი 80), ენდი კოული, ვასელი

მწვრთნელი: სტიუარტ პირსი

გაფრთხილება: სტიდი, კოული, მილსი

მსაჯი: უოლტონი

33 357 მაყურებელი

**პორტსმუთი 1:1 ასტონ ვილა**

0:1 ჰიუზი (11ს.კ.), 1:1 ლუალუა (42)

პორტსმუთი: ვესტერველდი, ობრაიენი, სტეფანოიჩი, პრისკე, ვინალი, ონილი (ტოდოროვი 76), ვიაფარა, ჰიუზი, რობერი, ლუალუა, კარადაში (პერიკარი 83)

მწვრთნელი: ალან პერინი

ასტონ ვილა: სორენსენი, მელბერგი, რიჯველი, ა. ჰიუზი, ბერი, სოლანო, მაკკანი, დევისი, ვიტინგემი, ფილიპსი (დე ლა კრუზი 37), ანხელი (მური 74)

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

გაფრთხილება: ბერი, ჰიუზი, ვიაფარა, ლუალუა

გაძევება: სოლანო (11)

მსაჯი: პოლი

19 778 მაყურებელი

**ბირმინგემი 0:3 მიდლსბრო**

0:1, 0:2 ვიდუკა (14, 45), 0:3 კედრუ (71)

ბირმინგემი: მ. ტეილორი, მელხიოტი, კანინგემი, აპსონი, ლაზარიდისი, პენანტი, ბატი, ტებილი (ფორსელი 45), კლემენსი (იზეტი 45), იაროშიკი, პანდიანი (გრეი 68)

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

მიდლსბრო: შვარცერი, რაიციგერი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, კედრუ, მორისონი (ბეიტსი 89), პარლოორი, ბოატენგი, დაუნინგი, ჰასელბაინკი (მაკარონე 74), ვიდუკა (ჯობი 78)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

გაფრთხილება: ბაუტენგი

მსაჯი: დაუდი

27 998 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ტოტენჰემი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ჩარლტონი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ჩელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ვესტ ჰემი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| მიდლსბრო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| ვესტ ბრომვიჩი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ლივერპული | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| არსენალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ბლექბერნი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ევერტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ასტონ ვილა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ბოლტონი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ფულემი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ნიუკასლი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| პორტსმუთი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ბირმინგემი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| უიგანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| სანდერლენდი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

„პორტსმუთსა“ და „ასტონ ვილას“ პირველი ორი ტურის მერე არ მოეგოთ და ერთმანეთს 3 ქულის ძიებაში თავიდანვე ხისტად ეცნენ. მე-11 წუთზე რიჩარდ ჰიუზი ნოლბერტო სოლანოს ეუხეშა, რაც პერუელს არ მოეწონა, ნერვები ვერ მოთოკა და მეტოქეს მივარდა. გრემ პოლმა გამოცდილ ნახევარმცველს უმალ წითელი ბარათი ამოუღო, ჰიუზს კი ოდენ ყვითელი.

შეხვედრის დებიუტშივე ათი კაცით დარჩენილი „ასტონ ვილა“ სულაც არ დაბნეულა და რამდენიმე წამში დაწინაურებაც კი შეძლო. ბედის ირონიით სოლანოს წაქცევისთვის დანიშნულ ჯარიმას იმავე ჰიუზის შეცდომა მოჰყვა — ბერის ჩაწოდებული ბურთი მასპინძელთა მცველმა საკუთარ კარში ჩაჭრა.

ამის მერე უპირატესობამ მთლიანად ლონდონელთა მხარეს გადაინაცვლა და საბოლოოდ შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე მათ ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. ეს კი ტრეზორე ლუალუას დამსახურებაა, რომელმაც მოკლე რეიდი ბრწყინვალე შორეული დარტყმით დააგვირგვინა.

მეორე ნახევარში ისევ მასპინძლები აქტიურობდნენ. გარი ონილმა მოახერხა და ბურთი ცარიელ კარს ააცილა. ლორან რობერს სორენსენმა აუღო, ხოლო მატჩის მიწურულს ჰიუზს შეცდომის გამოსწორება და მეტოქის კარის დალაშქვრა შეეძლო, მაგრამ...

„ბევრი მომენტი გვქონდა და ვერ გამოვიყენეთ. მთლიანობაში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ არ გაგვიმართლა“ — თქვა „პორტსმუთის“ დამრიგებელმა ალან პერინმა.

ბირმინგემელთა თავკაცი დევიდ ოლირი კი გრემ პოლზე ბრაზობდა: „სოლანოს გაგდება ალბათ ხუმრობა იყო. ყველამ ვიცით, ნოლბერტო როგორი ადამიანია და იგი ჰიუზს არც შეხებია. ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით, ბოლომდე იბრძოლეს და მოგებაც კი შეგვეძლო“.

ისევ წააგო „სანდერლენდმა“ და ცხრილის ფსკერზე დაილექა. მიკ მაკარტნიმ რამე უნდა მოიფიქროს, თორემ ასე „შავ კატებს“ ძალიან გაუჭირდებათ. მართალია, გუნდი ცდილობს, მაგრამ შეტევაში ფანტაზია აკლია და არც დაცვა გამოიყურება საიმედოდ.

„მანჩესტერ სიტი“ კი პირიქით, ამ გამარჯვებით 2003 წლის შემდეგ თუნდაც ერთი დღით პირველად აღმოჩნდა პრემიერლიგის სათავეში.

სტუმრები შეხვედრის დებიუტშივე დაწინაურდნენ. გოლი აქტიურმა დარიუს ვასელმა [illegible] მასპინძლებიც [illegible] ვერპულიდან ნათხოვარმა ლე ტალეკმა ორი კარგი მომენტი განიავა, რისთვისაც „სანდერლენდი“ 35-ე წუთზე ტრევორ სინკლერმა დასაჯა. თუმცა ცოტა ხანში ლე ტალეკმა მესამე ცდაზე იხეირა და თავური დარტყმით სხვაობა შეამცირა.

საკმაოდ ულიმღამო მეორე ნახევარში გუნდებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი გაცვალეს. მწვავე ეპიზოდებს მასპინძლები უფრო ქმნიდნენ, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

„მეტოქემ კარგად ითამაშა და მოგებასაც იმსახურებდა. ჩემმა ბიჭებმა ეს იციან, მაგრამ ხშირად ყველაფერი ლოგიკურად არ ხდება. ისლა დაგვრჩენია, გამარჯვებით გავიხაროთ და მუშაობა განვაგრძოთ“ — აღნიშნა მანჩესტერელთა თავკაცმა სტიუარტ პირსმა.

მიკ მაკარტი: „საკუთარი თავის უნდა ვირწმუნოთ და მომენტები გამოვიყენოთ. ქულას მაინც ვიმსახურებდით. ახლა მთავარია, რაც შეიძლება მალე მოვიგოთ, რომ ფსიქოლოგიურად გავმხნევდეთ“.

მიუხედავად არცთუ ურიგო თამაშისა, პირველ ორ ტურში „მიდლსბროს“ გოლი არ გაეტანა და ჯავრი ერთბაშად „ბირმინგემზე“ იყარა.

რივერსაიდელები მე-14 წუთზე მარკ ვიდუკამ დააწინაურა. ავსტრალიელი ჯეიმს მორისონის კროსს დაუხვდა. ვიდუკა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკთან ერთად ძალიან აქტიურობდა და შესვენებამდე დუბლის გაფორმებაც მოასწრო, თანაც ტექნიკური მონაცემები გამოავლინა და ბოლოს ბურთი ტეილორის კარის შორეულ მაღალ კუთხეში ჩაჭედა.

შეხვედრას საბოლოო წერტილი მეორე ტაიმში ფრენკ კედრუმ დაუსვა, რომელმაც მშვენიერი დრიბლინგი გოლით დაასრულა. სტივ ბრიუსის „ბირმინგემი“ კი საკმაოდ უსუსურად გამოიყურებოდა.

„როდესაც მარკ ვიდუკა ფორმაშია, მას პრემიერლიგაში ბადალი არ ჰყავს. მიხარია, რომ იგი რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ ძველებურად ათამაშდა. ორივე გოლი ბრწყინვალე იყო. პირველი რთული გასატანი, ხოლო მეორე განსაკუთრებული“ — განაცხადა გახარებულმა „მიდლსბროს“ მწვრთნელმა სტივ მაკლარენმა.

ვთქვათ ისიც, რომ ამ მატჩში „ბირმინგემელთა“ რიგებში „ჩელსიდან ნათხოვარი ირჟი იაროშიკის დებიუტი შედგა, მაგრამ ჩეხმა სახეირო ვერაფერი რომ გააკეთა თავადაც ხვდებით.

**გიორგი კაკაბაძე**



მიდლსბროელები მარკ ვიდუკას (№36) გოლს ულოცავენ



# პატივცემული ჰორსფილდი

„ვესტ ბრომვიჩის“ ფორვარდ ჯეფ ჰორსფილდს კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა, მაგრამ კიდევ ორი წლით გაუხანგრძლივეს. ბრომვიჩელთა მწვრთნელი ბრაიან რობსონი „ბირმინგემისა“ და „ფულემის“ ყოფილი მეგოლის თამაშით კმაყოფილია: „ჯეფი გულიანად ირჯება. გასულ სეზონში მან რამდენიმე უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა. ის სამაგალითო ფეხბურთელია და გვსურს, რომ კვლავაც ჩვენთან იყოს.“

ამ ზაფხულს კლუბში ორი ახალი ფორვარდი მივიდა — დიომანსი კამარა და ნათან ელინგტონი. ახლა „ვესტ ბრომვიჩის“ ხუთი თავდამსხმელი მოუგროვდა და ძირითად შემადგენლობაში მოხვედრისთვის დიდი კონკურენციაა. შეგახსენებთ, რომ ჰორსფილდმა პრემიერლიგის მეორე ტურში „პორტსმუთთან“ მატჩში წყვილი გოლი გაიტანა და თავის გუნდს მოაგებინა. კლუბის პატრონმაც გარჯა ახალი კონტრაქტით დაუფასა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბუნდესნაკრები უცხოელთა გარეშე!

**გერმანია** დიდსაფეხბურთო სკანდალის პირზეა მიმდგარი. „შალკეს“ ბრაზილიელ ნახევარმცველ ლინკოლნის სიტყვებმა, გერმანიის მოქალაქეობას მივიღებ, რათა 2006 წლის მუნდიალზე ნაციონალმანშაფტში ვითამაშოო, იქაური სპორტული ჩინოსნების განრისხება გამოიწვია.



ლინკოლნი

„დიდი შეცდომა იქნება, ნაკრებში ისეთ ფეხბურთელებს თუ მივიღებთ, რომელთაც ჩვენს ქვეყანასთან არაფერი აქვთ საერთო. ლინკოლნს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა აინტერესებს, ჩვენ კი უცხოელს ეროვნული გუნდის კარი ფართოდ არ უნდა გავუღოთ“ — განაცხადა ოლივერ ბირჰოფმა, ალემანთა ნაკრების ტექნიკურმა დირექტორმა.

კიდევ უფრო მკაცრი გახლდათ „ბილდთან“ საუბარში რუდი ფიოლერი, ეროვნული გუნდის ექსდამრიგებელი: „როცა მწვრთნელი ვიყავი, ნაკრებში ჯერალდ ასამოას მოხვედრაზეც კამათობდნენ. მინდა, შეგახსენოთ, ის სულ სხვა შემთხვევა იყო. მართალია, ასამოა განაში დაიბადა, მაგრამ დედა ხომ მაინც ჰყავს გერმანელი. ასევე კევინ კურანი, მამით ბრაზილიელი და დედით გერმანელია. რაც შეეხება ლინკოლნს, მას გერმანიასთან აბსოლუტურად არაფერი აკავშირებს. თანაც თავისი ქვეყნის ნაკრებში ოლიმპიადაზეც თამაშობდა. მსგავსად თუ გავაგრძელეთ, მალე ნაციონალმანშაფტში გულშემატკივარი გერმანელებს ვეღარ ნახავს“.

ფიოლერს და ბირჰოფს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უთქვამთ: „მე რომ ეროვნული გუნდის დამრიგებელი ვიყო, ლინკოლნს ბუნდესნაკრებში ცხვირსაც არ შევაყოფინებდი...“ ესეც „ბილდმა“ დაბეჭდა.

ვნახოთ რას იტყვის გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იურგენ კლინსმანი.

**ლადო ხომერიკი**

# შეტევა ტრაპზე



ჯოვანი ტრაპატონი

„შტუტგარტის“ პრეზიდენტმა ერვინ შტაუდტმა ჯოვანი ტრაპატონის ვექილობა იკისრა. იტალიელის თავკაცობით გუნდს ბუნდესლიგაში ჯერ თამაში არ მოუგია, გასულ უქმეებზე კი „ჰოფენჰაიმთან“ სათასო მატჩში კინაღამ შერცხვა. 90 წუთში სუსტი მეტოქის დამარცხება ვერ შეძლო და მხოლოდ დამატებით დროში იმარჯვა.

იტალიელ მწვრთნელს კრიტიკოსები მოუმრავლდნენ, მაგრამ შტაუდტი მას ენდობა: „დარწმუნებული ვარ, ტრაპატონის ხელში „შტუტგარტი“ უკეთესი გუნდი გახდება, ვიდრე ახლაა“ — განაცხადა პრეზიდენტმა.

„ტრაპს“ იმის გამოც ედავებიან, რომ ხორვატი ლეგიონერი ზვონიმირ სოლდო სათადარიგოთა სკამზე დასვა.

„მწვრთნელმა კარგად იცის, რასაც აკეთებს — დასძინა შტაუდტმა — სოლდო გუნდიდან არავის გაუგდია. ის კვლავაც ლიდერია, მაგრამ ტრაპატონის ექსპერიმენტებისთვის დრო სჭირდება“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დედმამიშვილებში ნასწავლი ფეხბურთი

ვინ არის მიუნხენის „ბაიერნის“ ფანთა ჯილა? — მოჰამედ ალი ქარიმ ფაშაქი. 26 წლის ირანელმა, აზიის გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელმა ორ ბუნდესლიგურ ტურში მოასწრო გოლის გატანა და ქომაგთა თვალში ერთიორად ამაღლდა. „აზიელი მარადონა“ უხვად არიგებს საგოლე პასებს, ხოლო ერთ-ერთი აზიური გაზეთის მიმომხილველის აზრით, ალი ქარიმი არაჩვეულებრივი დრიბლიორია — მას მეტოქეთა მონუსხვა შეუძლია, მცველებს აჰიპნოზებსო. „ბაიერნის“ ახალწვეულს გერმანული „კიკერი“ ესაუბრა და ამ ინტერვიუდან ირანელ ფეხბურთელზე უფრო მეტს შეიტყობთ.



ალი ქარიმი აზიის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს

— საკმაოდ ტექნიკური ხართ. სად ისწავლეთ ასე ფეხბურთის თამაში?

— ნიჭი დაბადებიდან მომყვება, მაგრამ ყოველდღიური შრომისა და ვარჯიშის გარეშე ვერაფერს მივაღწევდი.

— როდის ეზიარეთ ფეხბურთს?

— თეირანის მახლობლად, პატარა დასახლებაში გავიზარდე. სამი ძმა და ერთი და მყავს. ეზოში ხშირად ვბურთაობდით. ხანდახან მეზობლის ბავშვები უარს გვეუბნებოდნენ თამაშზე, მაგრამ ჩვენ ხუთნი ვიყავით და უმათოდაც კარგად ვერთობოდით. ჩემი ძმა ახლა თეირანის „ფირუზის“ მეკარეა. 12 წლისა უკვე ადგილობრივ გუნდში ამიყვანეს.

— ძმასთან ერთად მიხვედით გუნდში?

— არა, მარტო, მაგრამ თავიდან ძალიან ვნერვიულობდი. ახალ გარემოსთან შეგუება გამიჭირდა.

— რამდენად პოპულარულია ირანში ფეხბურთი?

— ამჟამად სპორტის ყველა სახეობაზე პოპულარულია.

— შემდეგ რომელი სახეობა მოდის?

— ფრენბურთი და ჭიდაობა.

— ჭიდაობა მოგწონთ?

— არა, არ მიყვარს.

— 2001 წელს აზიაში უკვე ცნობილი ფეხბურთელი იყავით, მაგრამ ევროპაში წასვლას არჩიეთ, დუბაიში გაგეგრძელებინათ კარიერა. რატომ გადაწყვიტეთ ასე?

— თავისუფალი არჩევანის საშუალება მქონდა და არ შევმცდარვარ. ევროპაში რომ წავსულიყავი სამი წელი მომიწევდა სათადარიგოთა სკამზე ყურყუტი და როგორც ფეხბურთელი, ვერ გავიზრდებოდი, ვერ მივაღწევდი იმას, რასაც ახლა მივაღწიე. თან არაბულმა კლუბმა სარფიანი კონტრაქტი შემომთავაზა და დავყაბულდი.

— „ბაიერნი“ რომ დაგიკავშირდათ, რა იფიქრეთ?

— გავოგნდი. ირანულ კლუბში გადასვლაზე ვფიქრობდი, მაგრამ არ მეგონა, თუ ასეთი დიდი გუნდი დაინტერესდებოდა ჩემით. ალბათ ნებისმიერი ფეხბურთელი სიამოვნებით დათანხმდებოდა „ბაიერნის“ წინადადებას.

— გერმანიაში თქვენს ჩასვლას სკეპტიკურად უყურებდნენ. „ალ აჰლის“ (კლუბი საიდანაც ალი ქარიმი „ბაიერნში“ გადავიდა) მწვრთნელმა ვინი შეფერმა თქვა, ქარიმი სიტყვატუხწია კაცია, ბუნდესლიგაში გაუჭირდებაო. გარდა ამისა, სიზარმაცესაც გაბრალებდნენ.

— სულაც არ მადარდებს სხვათა აზრი. ვეცდები, ჩემი შანსი გამოვიყენო და ისე ვიშრომო, რომ ყველა კრიტიკოსს მოვაკეტინო.

— ლევერკუზენის „ბაიერნთან“ მატჩში დაამტკიცეთ, რომ კრიტიკოსები ცდებოდნენ.

— ნამდვილად ასეა და ცოტა დავმშვიდდი. ჯერ მხოლოდ ორი ტურია გასული და ქომაგებს ვპირდები, რომ კიდევ არაერთხელ დავამახსოვრებ თავს.

— რამდენად მოულოდნელია თქვენთვის ის ფაქტი, რომ უმალ ყურადღების ცენტრში მოექეცით?

— მთლად მოულოდნელი არ იყო, რადგან ვიცი ჩემი შესაძლებლობა და მოტივაციაც არ მაკლია.

— ფეხბურთის მცოდნეები გააკვირვეთ მოედნის ხედვით, დრიბლინგით და პასის კულტურით.

— საკვირველი აქ არაფერია. დუბაიში ჩემს თამაშს ვინც უყურა, ბევრი რამ არ უნახავს, რაკი „ალ აჰლიში“ ნახევარი ძალით ვთამაშობდი.

— ზოგმა „აზიელ მარადონად“, ზოგმა კი აზიელ ბრაზილიელად მოგნათლათ და ყველას მიაჩნია, რომ შარშან საუკეთესო ფეხბურთელის წოდება ალალად დაიმსახურეთ.

— რა თქმა უნდა, გადაჭარბებული შედარებაა. მე ხომ იდეალური არ ვარ, ძალიან ბევრი რამ უნდა გამოვასწორო. მაგალითად, თავით კარგად ვერ ვთამაშობ.

— როგორ ფიქრობთ, თქვენს პოზიციაზე მსოფლიოში საუკეთესო ვინაა?

— ბევრნი არიან, მაგრამ ზიდანს და რონალდინიოს გამოვარჩევ.

— „ბაიერნთან“ მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი გაქვთ. რა არის საჭირო იმისთვის, რომ გუნდში 2006 წლის შემდეგაც დარჩეთ?

— პირველ რიგში, ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებას უნდა შევეცადო. „ბაიერნში“ „ვარსკვლავები“ თამაშობენ და ვიცი, ეს ძნელი იქნება, მაგრამ თავს არ დავზოგავ. მინდა, დავუმტკიცო ქომაგებს, რომ ამ კლუბში თამაშს ვიმსახურებ.

— ჯილდოების მოგებაზე არაფერს ამბობთ...

— ცხადია, ბუნდესლიგაში და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაზე ვფიქრობ. „ბაიერნი“ ის გუნდია, რომელიც ყოველთვის პირველობისთვის იბრძვის.

— თანაგუნდელებისგან განსხვავებით, ქუჩაში ავტოგრაფის მაძიებელნი არ გაწუხებენ. თავისუფალ დროს რას აკეთებთ?

— განსაკუთრებულს არაფერს. ვცდილობ, დავისვენო და ძალა აღვიდგინო. ტელევიზორს ვუყურებ და ხანდახან მალაზიებსაც ვსტუმრობ.

— თქვენი ცოლ-შვილი ირანში დარჩა და ალბათ გენატრებათ....

— რა თქმა უნდა, მენატრება, მაგრამ ერთი თვის შემდეგ ჩამოვლენ და ერთად ვიქნებით.



„ბაიერნის“ ახალწვეულები — ალი ქარიმი (წინ) და ვალერიან ისმაელი



# ფიგუ მადრიდს იტალიიდან უტევს

ლუიშ ფიგუ „რეალიდან“ საწყენ აბარგებას ვერაფრით ვერ ივიწყებს და ძველ დამრიგებელს, ვანდერლეი ლუშემბურგოს, ახლა მილანიდან ეჩხუბება.

„მადრიდულ გუნდში 5 წელი ვიყავი და ყველა იქაურს, ვანდერლეი ლუშემბურგოს გარდა, მხოლოდ გამარჯვებას ვუსურვებ. „რეალის“ მწვრთნელმა „კარგი პირობები“ შემიქმნა, რათა „სანტიაგო ბერნაბეუდან“ წავსულიყავი. ვთვლი, რომ სამეფო კლუბს კიდევ მოვუტანდი სარგებლობას“ — უთხრა პორტუგალიელმა ვარსკვლავმა „ლა გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტს.

ლუიში ვანდერლეიმ გასული პრიმერას ელ კლასიკოს, „რეალი“-„ბარსას“ შემდეგ მოიმულა და 10 აპრილიდან მოყოლებული საერთოდ არ გააკარა ძირითად შემადგენლობას. ფიგუსაც რაღა დარჩენოდა, გუდა-ნაბადი აიკრა...

„როცა დამრიგებლის ჩემდამი გაურკვეველ ანტიპატიაში დავრწმუნდი, გადავწყვიტე, „რეალი“ დამეტოვებინა და კარიერა სხვა გუნდში გამეგრძელებინა“ —დასძინა ვეტერანმა ნახევარმცველმა.

„მიხარია, რომ არჩევანში არ შევცდი. „ინტერნაციონალე“ შესანიშნავი გუნდია და აქ არც ვანდერლეისთანა ტიპები მაწუხებენ“ — თქვა ყოფილმა გალაქტიკოსმა.

**ლადო ხომერიკი**

# ესიენის დაჩაგრული ტიაგო ლიონში გაიქცა



ტიაგო მენდეში

„ჩელსის“ ნახევარმცველი ტიაგო მენდეში საფრანგეთშია და „ლიონთან“ ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. პორტუგალიელმა ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა, რასაც ხელის მოწერა მოჰყვება. ფრანგულმა კლუბმა ორი კვირის წინ „ჩელსის“ მიკაელ ესიენი 26 მილიონ გირვანქად მიჰყიდა, ახლა კი 6 მილიონ 500 ათას გირვანქად ლონდონელებისგან ტიაგო შეიძინა.

„მითხრა, რომ „ლიონში“ გადასვლა სურდა — თქვა ჟოზე მაურინიუმ — ტიაგოს წასვლა ყველასთვის გულდასაწყვეტია, მაგრამ ისე მოიქცა, როგორც პროფესიონალს ეკადრება. მას „ჩელსიში“ სათამაშო პრაქტიკა აკლდა და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა გუნდის გამოცვლა. იგი ინგლისურ და ესპანურ კლუბებსაც სურდათ, თუმც „ლიონი“ არჩია.“

პორტუგალიელი ნახევარმცველი „ჩელსიში“ შარშან „ბენფიკადან“ გადავიდა. ძირითად შემადგენლობაშიც საკმაოდ ხშირად თამაშობდა, მაგრამ „ლიონიდან“ ჩასულმა მიკაელ ესიენმა სწორედ მისი ადგილი დაიკავა.

**გაჟა ხუციშვილი**

# პეპეს მანჩესტერი არ მოეწონა

34 წლის პეპ გვარდიოლა კვლავაც უკლუბოდაა დარჩენილი. შეგახსენებთ რომ „ბარსელონას“ ძველმა ვარსკვლავმა ყატარულ „ალ ალიში“ გატარებული ორი სეზონის შემდეგ კვლავაც დიდ ფეხბურთში გადაწყვიტა დაბრუნება და ჯერ არგენტინულ „რივერ პლეიტთან“, ხოლო შემდეგ ინგლისურ „მანჩესტერ სიტისთან“ მოსინჯა ბედი. „რივერის“ ამბავი უკვე ცნობილი გახლდათ — იქაური მწვრთნელი ლეონარდო ასტრადა შეფიქრიანდა დაბერებულმა გვარიოლამ რა ხეირი უნდა მოგვიტანოსო და კატალონიელი ვეტერანის გუნდში აყვანაზე უარი განაცხადა. გუშინ კი პეპმა მანჩესტერული ხიდი თავად დაანგრია.

„სიტი ოდენ ექვსთვიან კონტრაქტს მთავაზობდა, რაც მართალი გითხრათ ჩემს გეგმებში ნაკლებად შედის და ამიტომაც მანჩესტერში გადასვლისგან თავი შევიკავე. დიდად არ ვნერვიულობ, გამოჩნდება რომელიმე სხვა კლუბი, ჩემთან შეთანხმებას რომ მოისურვებს“ — აღნიშნა მრავლისმნახველმა ნახევარმცველმა, ვინც კიდევ ერთი სეზონით აპირებს აქტიურ ფეხბურთელად ყოფნას.

**ლადო ხომერიკი**

## ...და ან ცაზე ვარსკვლავები

# ბუმ კუნ ჩა

# მამა ჩა, დიდი ჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

*საინტერესო რა არის, იცით? ის, რომ ეს უნიკალური და თავის დროზე კოლორიტული მოთამაშე სანაკრებო ფეხბურთში ყველა დროის საუკეთესო ფორვარდ-მეგოლეთა შორისაა, არადა მის კარიერაში იყო არც მეტი, არც ნაკლები, რვა წლიანი მონაკვეთი, როდესაც კორეის ეროვნული გუნდი მისგან დამოუკიდებლად ცხოვრობდა.*

*ყველაზე დიდი მოვლენა კი მის საფეხბურთო ცხოვრებაში, ალბათ გერმანიაში გადაბარგება გახლდათ. ბუნდესლიგაში ბუმ კუნ ჩას ორი რეკორდი აქვს დამყარებული, უცხოელთა შორის დღემდე ყველაზე მეტი მატჩი აქვს ნათამაშევი და მეტი გოლი შეგდებული...*



**ერთი სიტყვით,** მეოცე საუკუნეში აზიის საუკეთესო ფეხბურთელი ბუმ კუნ ჩა იყო და ამ მოსაზრებას ვფიქრობთ ბევრი არ შეედავება. ის ნაკრებსა თუ კლუბში ნიადაგ ლიდერი გახლდათ, ყველგან ბოლომდე იხარჯებოდა და ოსტატობის გარკვეულ დონეზე დაბლა არასდროს ჩადიოდა, ეს გარკვეული დონე კი გეხსომებათ ან უბრალოდ გვენდეთ, საკმაოდ მაღალი იყო.

ისევე, როგორც ბევრმა ცნობილმა ფეხბურთელმა ბუმ კუნ ჩამაც ახალგაზრდული ნაკრებით დაიწყო, მაგრამ იქ დიდხანს არ შეყოვნებულა, რადგან დიდ გუნდში გამოიძახეს და ბანგკოკში, აზიის ჩემპიონაზე გააქცუნეს. ეს 1971 წელს მოხდა. მაშინ ჩა 19 წლისა იყო და ასაკის მიუხედავად იმ ჩემპიონატის ყველა შეხვედრაში გავიდა მოედანზე, გატანით კი ერთი გოლი გაიტანა — კორეა მეორე ადგილზე გავიდა, ფინალში ირანთან წააგო 1:2.

რა აწუხებდა ამომავალ ვარსკვლავს? რა და ის, რომ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლები დგებოდა, პროფესიული ფეხბურთის ისტორია კი კორეაში მხოლოდ 1983 წლიდან იწყება. ერთი სიტყვით, ქვეყანაში საუნივერსიტეტო ფეხბურთის ხანა იყო, სტუდენტთა შორის კი ბუმ კუნ ჩა მეტისმეტად გამოირჩეოდა და ამიტომ მის სამშობლოში დარჩენას აზრი არ ჰქონდა. ერთადერთი ნათელი მოვლენა ნაკრები გახლდათ, რომელიც სხვადასხვა აზიურ ტურნირებში მონაწილეობდა — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამეფო და საპრეზიდენტო თასები და სხვა.

ასე მივადექით 1978 წელს. ამ დროისთვის ჩას ნაკრებში უკვე 118 თამაში ჰქონდა ჩატარებული და 55 გოლი გატანილი. საინტერესოა, რომ იმ წელიწადს გამართულ აზიის თამაშებზე ფინალში ერთმანეთს სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის გუნდები შეხვდნენ. იდეოლოგიურ მტერთა თამაში 0:0 დამთავრდა და შეჯიბრების ორგანიზატორებმა, ალბათ გართულებების თავიდან ასაცილებლად ოქროს მედლები ორივე ნაკრებს გადასცეს. იმ შეჯიბრებაში ჩამ ხუთი გოლი გაიტანა.

ეს სწორედ ის დრო გახლდათ, როდესაც ჩვენი წერილის გმირმა საჰაერო სამხედრო ძალებში სამსახური დაასრულა და საზღვარგარეთ მუშაობას ველარავინ დაუშლიდა. საზღვარგარეთ კი იცოცხლეთ, მისი ნიჭის ამბავი უკვე იცოდნენ. კერძოდ, ლიხტენშტაინში მოქმედებდა არასაფეხბურთო ქვეყნებში ფეხბურთელთა აღმოჩენისა და გადაბირების სააგენტო, რომელსაც ჩა მიზანში ჰყავდა ამოღებული და გაუჩარხა კიდეც გერმანული ბუნდესლიგის მაშინდელ გუნდ „დარმშტადში“ ადგილი. კორეელი იქ, ერთ შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, სათადარიგოთა შორის თამაშობდა და გერმანულს სწავლობდა.

მაშინდელ ევროპაში აზიელი ფეხბურთელის გამოჩენა საოცრებას ჰგავდა, იქ, ამაზე ეკზოტიკური რაღა უნდა ენახათ, მაგრამ თავად აზიელმა მხოლოდ ეკზოტიკურობა არ იკმარა და საკმაოდ კარგი ბურთაობაც გააჩაღა. ამის გამო „აინტრახტმა“ „დარმშტადს“ ვალი, 250 000 მარკა აპატია და კორეელი წაჰგვარა.

ჰოდა, ერთი ქართული სიმღერისა არ იყოს, „და მერე იცით, რა მოხდა?“ რა და „აინტრახტმა“ უეფას თასი მოიპოვა, რომლის ფინალშიც გერმანულივე „გლადბახი“ დასცა — 2:3 და 1:0. ამ გოლებიდან ჩას ერთიც არ გაუტანია, მაგრამ ძალიან კარგად კი ითამაშა და 1980 წელს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა სიმბოლურ ნაკრებში დაასახელეს. იმავე წელს კორეელ ვარსკვლავს ვაჟი შეეძინა, დუ რი ჩა, სწორედ ის, დღეს მამის სამშობლოს ნაკრებსა და მამისავე კლუბ „აინტრახტში“ რომ თამაშობს.

1983 წელს ბუმ კუნ ჩა 1,35 მილიონ მარკად „ლევერკუზენმა“ იყიდა და არც წააგო: ლევერკუზენელთა ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირთა სიაში ჩა მეოთხეა. მესამე იყო,,მაგრამ ულფ კირსტენმა გუნდისადმი ცამეტწლიანი ერთგულების შედეგად გადაუსწრო.

და კიდევ ერთი, ბუმ კუნ ჩა პენალტებს არ არტყამდა, მისი ყველა გოლი სათამაშო სიტუაციიდანაა გატანილი.

1988 წელს კორეელმა ბომბარდირმა მეორედ მოიგო უეფას თასი. ფინალში ამჯერად ესპანელი მეტოქე ჰყავდა — „ესპანიოლი“, რომელთანაც მის გუნდს საოცრად დრამატული დაპირისპირება გამოუვიდა. პირველ შეხვედრაში ჩა მეთვრამეტე წუთზე დაშავდა და... ესპანელებმა 3:0 მოიგეს. თითქოს საპასუხო მატჩს აზრი აღარ ჰქონდა, მაგრამ წელან ენამ გაგვისწრო და უკვე მოგახსენეთ, რომ ჩვენი წერილის გმირმა ის თასი მაინც მოიპოვა. საპასუხო შეხვედრაში მესამე გოლი, რომელმაც დაპირისპირება დამატებით დროში გადაიყვანა სწორედ ჩამ გაიტანა. პენალტებში კი „ლევერკუზენმა“ იყოჩაღა.

...1988 წელს კი ბუმ კუნ ჩა ნაკრებს დაუბრუნდა და კიდევ სამჯერ მოირგო კორეული მაისურა. წარმოგიდგენიათ, ეს წლებიც სულ ნაკრებში რომ გაეტარებინა...



ბუმ კუნ ჩა (მარცხნივ)

**პაპუნა ქედია**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### გერმანია. I ბუნდესლიგა

**27 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 127 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 1.55 | 3.80 | 5.50 | 1.10 | 1.20 | 2.24 |
| 17:30 | 128 | კიოლნი-კაიზერსლაუტერნი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 17:30 | 129 | ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 2.45 | 3.30 | 2.60 | 1.40 | 1.26 | 1.45 |
| 17:30 | 130 | ვერდერი-შტუტგარტი | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| 17:30 | 131 | შალკე-მიონხენგლადბახი | 1.35 | 4.40 | 8.00 | 1.03 | 1.15 | 2.83 |
| 17:30 | 132 | ბაიერნი-ჰერტა | 1.45 | 3.90 | 6.50 | 1.05 | 1.18 | 2.43 |
| 17:30 | 133 | აინტრახტი-ნიურნბერგი | 2.10 | 3.30 | 3.15 | 1.28 | 1.25 | 1.61 |

**28 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 134 | დუისბურგი-დორტმუნდი | 2.65 | 3.30 | 2.40 | 1.46 | 1.25 | 1.38 |
| 19:30 | 135 | არმინია-მაინცი | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა

**26 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 136 | ალენი-ბოხუმი | 3.00 | 3.20 | 2.05 | 1.54 | 1.21 | 1.24 |
| 21:00 | 137 | ჰანზა-ბრაუნშვაიგი | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 21:00 | 138 | დინამო-ოფენბახი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |

**28 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 139 | კოტბუსი-პადერბორნი | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 17:00 | 140 | ფრაიბურგი-აუე | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 17:00 | 141 | კარლსრუე-ბურგჰაუზენი | 1.90 | 3.40 | 3.20 | 1.21 | 1.19 | 1.64 |
| 17:00 | 142 | ზაარბრიუკენი-ზიგენი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 17:00 | 143 | უნტერჰახინგი-ალემანია | 2.55 | 3.30 | 2.40 | 1.43 | 1.23 | 1.38 |

**29 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 144 | ფიურტი-მიუნხენი 1860 | 2.40 | 3.30 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.42 |

### ავსტრია. ბუნდესლიგა

**27 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 175 | რიდი-რაპიდი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 21:30 | 176 | ზალცბურგი-ადმირა | 1.50 | 3.60 | 5.80 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| 21:30 | 177 | მატერსბურგი-შტურმი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |

28 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 178 | აუსტრია-პაშინგი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 21:30 | 179 | გრაცერი-ტიროლი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |

### ავსტრია. I დივიზიონი

**26 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 180 | აუსტრია(ლ)-აუსტრია(მ) | 2.00 | 3.20 | 3.15 | 1.23 | 1.22 | 1.58 |
| 21:00 | 181 | ლინცერი-ლეობენი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 21:00 | 182 | კერნტენი-ალტახი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 21:00 | 183 | კაფენბერგი-კუფშტაინი | 1.40 | 3.80 | 6.50 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 21:00 | 184 | გრატკორნი-შვანენშტადტი | 1.75 | 3.30 | 3.85 | 1.14 | 1.20 | 1.77 |

### შვეიცარია. სუპერლიგა

**27 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 185 | სტ.გალენი-იანგ ბოიზი | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 21:30 | 186 | თუნი-ივერდონი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 21:30 | 187 | ბაზელი-ქსამაქსი | 1.20 | 5.30 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.46 |

**28 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 188 | აარაუ-გრასჰოპერი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 18:00 | 189 | ციურიხი-შაფჰაუზენი | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |

### იტალია. სერია A

**27 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 614 | ლივორნო-ლეჩე | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 22:30 | 615 | ფიორენტინა-სამპდორია | 2.20 | 2.90 | 3.35 | 1.25 | 1.32 | 1.55 |

**28 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 616 | ინტერი-ტრევიზო | 1.20 | 5.00 | 14.00 | 1.00 | 1.10 | 3.68 |
| 17:00 | 617 | ლაციო-მესინა | 1.90 | 3.10 | 4.10 | 1.17 | 1.29 | 1.76 |
| 17:00 | 618 | სიენა-კალიარი | 2.20 | 2.90 | 3.30 | 1.25 | 1.32 | 1.54 |
| 17:00 | 619 | ასკოლი-მილანი | 9.00 | 4.10 | 1.35 | 2.81 | 1.17 | 1.01 |
| 17:00 | 620 | პარმა-პალერმო | 2.50 | 2.90 | 2.85 | 1.34 | 1.33 | 1.43 |
| 17:00 | 621 | რეჯინა-რომა | 3.70 | 3.00 | 2.00 | 1.65 | 1.29 | 1.20 |
| 17:00 | 622 | უდინეზე-ემპოლი | 1.55 | 3.40 | 6.20 | 1.06 | 1.24 | 2.19 |
| 22:30 | 623 | იუვენტუსი-კიევო | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |

### ესპანეთი. I დივიზიონი

**27 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 203 | ალავესი-ბარსელონა | 6.50 | 3.60 | 1.50 | 2.31 | 1.21 | 1.05 |
| 23:45 | 204 | ბილბაო-სოსიედადი | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 23:45 | 207 | ვალენსია-ბეტისი | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |

**28 აგვისტთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 199 | ოსასუნა-ვილიარეალი | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 21:00 | 200 | მალიორკა-დეპორტივო | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 21:00 | 201 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.65 | 3.40 | 5.10 | 1.11 | 1.24 | 2.03 |
| 21:00 | 202 | სელტა-მალაგა | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 21:00 | 205 | ატლეტიკო-სარაგოსა | 1.70 | 3.40 | 4.80 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| 23:00 | 206 | კადისი-რეალი | 7.00 | 3.60 | 1.45 | 2.37 | 1.20 | 1.03 |
| 21:00 | 208 | სევილია-რასინგი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი

**27 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 221 | ლე მანი-ტრუა | 2.00 | 3.00 | 3.60 | 1.20 | 1.28 | 1.63 |
| 22:00 | 222 | სტ.ეტიენი-სოშო | 2.00 | 2.90 | 3.90 | 1.18 | 1.32 | 1.66 |
| 22:00 | 223 | სტრასბური-ბორდო | 2.25 | 2.90 | 3.00 | 1.26 | 1.28 | 1.47 |
| 22:00 | 224 | მარსელი-აიაჩო | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| 22:00 | 225 | ოსერი-ლიონი | 2.90 | 3.00 | 2.30 | 1.47 | 1.28 | 1.30 |
| 22:00 | 226 | პსჟ-ნიცა | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 22:00 | 227 | ნანსი-რენი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 22:00 | 228 | ნანტი-მეცი | 1.80 | 3.00 | 4.30 | 1.12 | 1.26 | 1.76 |

**28 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 229 | მონაკო-ლანსი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |

### ბელგია. I დივიზიონი

**26 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 241 | სტ.ტრუიდენი-ბევერენი | 2.00 | 3.40 | 3.20 | 1.25 | 1.23 | 1.64 |

**27 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 242 | მუსკრონი-ვესტერლო | 2.25 | 3.40 | 2.65 | 1.35 | 1.21 | 1.48 |
| 22:00 | 243 | ლიერსი-ბრიუგე | 4.60 | 3.70 | 1.60 | 2.05 | 1.18 | 1.11 |
| 22:00 | 244 | ბეერსხოტი-გენტი | 2.10 | 3.40 | 2.85 | 1.29 | 1.20 | 1.55 |
| 22:00 | 245 | ბრიუსელი-შარლერუა | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 246 | სერკლი-ვარეგემი | 1.80 | 3.40 | 3.75 | 1.17 | 1.21 | 1.78 |
| 22:30 | 247 | ლუვიე-სტანდარდი | 4.20 | 3.50 | 1.70 | 1.90 | 1.21 | 1.14 |
| | | 28 აგვისტო | | | | | | |
| 17:00 | 248 | რუხელარე-ლოკერენი | 2.35 | 3.40 | 2.55 | 1.38 | 1.22 | 1.45 |
| 20:00 | 249 | გენკი-ანდერლეხტი | 2.90 | 3.40 | 2.10 | 1.56 | 1.21 | 1.29 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 26 აგვისტო | | | | | | |
| 22:30 | 250 | დენ ჰააგი-ჰერენვენი | 3.30 | 3.30 | 1.95 | 1.64 | 1.22 | 1.22 |
| | | 27 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 251 | ვიტესი-ალკმაარი | 2.40 | 3.30 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 22:00 | 252 | სპარტა-ბრედა | 2.50 | 3.40 | 2.40 | 1.44 | 1.22 | 1.40 |
| 22:00 | 253 | ნაიმეგენი-ვალვაიკი | 1.90 | 3.30 | 3.55 | 1.20 | 1.23 | 1.71 |
| | | 28 აგვისტო | | | | | | |
| 14:30 | 254 | აიაქსი-ფეიენოორდი | 1.70 | 3.50 | 4.30 | 1.14 | 1.21 | 1.92 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 255 | უტრეხტი-ტვენტე | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| 16:30 | 256 | ჰერაკლესი-გრონინგენი | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 16:30 | 257 | როზენდალი-ტილბურგი | 2.50 | 3.50 | 2.40 | 1.45 | 1.22 | 1.42 |
| 18:30 | 258 | როდა-პსვ | 3.70 | 3.30 | 1.85 | 1.74 | 1.23 | 1.18 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 26 აგვისტო | | | | | | |
| 18:00 | 297 | ნავალი-პორტუ | 5.50 | 3.80 | 1.50 | 2.24 | 1.17 | 1.07 |
| | | 27 აგვისტო | | | | | | |
| 22:15 | 293 | ბელენენსეში-ლეირია | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 23:45 | 295 | ბენფიკა-ჟილ ვისენტე | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| | | 28 აგვისტო | | | | | | |
| 20:00 | 290 | მარიტიმუ-სპორტინგი | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |
| 19:00 | 291 | რიუ ავე-გიმარაეში | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 19:00 | 292 | ბრაგა-პენაფიელი | 1.55 | 3.70 | 5.50 | 1.09 | 1.20 | 2.21 |


CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 296 | სეტუბალი-ფერეირა | 1.75 | 3.20 | 4.60 | 1.13 | 1.26 | 1.88 |
| 19:00 | 298 | ნასიონალი-აკადემიკა | 1.90 | 3.20 | 3.85 | 1.19 | 1.27 | 1.74 |

**29 აგვისტო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 294 | ამადორა-ბოავიშტა | 2.85 | 3.20 | 2.35 | 1.50 | 1.28 | 1.35 |

**საბერძნეთი**

**27 აგვისტო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 308 | ქსანთი-პაოკ | 2.50 | 3.00 | 2.65 | 1.36 | 1.28 | 1.40 |
| 20:45 | 311 | კალითეა-ეგალეო | 2.25 | 3.00 | 3.10 | 1.28 | 1.30 | 1.52 |

**28 აგვისტო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:45 | 309 | აკრატიტოსი-ირაკლისი | 2.80 | 3.10 | 2.30 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| 19:45 | 310 | კალამარია-ოფი | 2.55 | 3.00 | 2.60 | 1.37 | 1.28 | 1.39 |
| 22:00 | 312 | პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| 22:00 | 313 | პანიონიოსი-ოლიმპია | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 16:00 | 315 | ლევადეიაკოსი-იონიკოსი | 2.00 | 3.10 | 3.40 | 1.21 | 1.25 | 1.62 |

**29 აგვისტო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 314 | ატრომიტოსი-აეკ | 4.30 | 3.20 | 1.75 | 1.83 | 1.24 | 1.13 |

**თურქეთი**

**26 აგვისტო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 316 | გაზიანთეფი-გალათასარაი | 4.50 | 3.40 | 1.70 | 1.93 | 1.23 | 1.13 |

**27 აგვისტო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 317 | სივასპორი-მანისა | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 21:00 | 318 | ფენერბაჰჩე-სამსუნი | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 21:00 | 319 | ანკარა-რიზე | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 21:00 | 320 | კონია-დენიზლი | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |

**28 აგვისტო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 321 | მალათია-ტრაბზონი | 4.20 | 3.40 | 1.75 | 1.87 | 1.23 | 1.15 |
| 21:00 | 322 | კაისერი-გენჩლერბირლიგი | 2.45 | 3.30 | 2.60 | 1.40 | 1.26 | 1.45 |
| 21:00 | 323 | ანკარაგიუჯიუ-ერჯიესი | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| 22:15 | 324 | ბეშიქთაში-დიარბაქირი | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |

**დანია. სუპერლიგა**

**27 აგვისტო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 366 | ვიბორგი-ოდენსე | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |

**28 აგვისტო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 363 | ჰორსენსი-ოლბორგი | 3.90 | 3.30 | 1.85 | 1.78 | 1.25 | 1.18 |
| 17:00 | 364 | სიონდერიისკე-მიდტიულანდი | 3.10 | 3.40 | 2.10 | 1.62 | 1.25 | 1.29 |
| 17:00 | 365 | ნორდსიელანდი-ესბიერგი | 2.55 | 3.40 | 2.45 | 1.45 | 1.24 | 1.42 |
| 21:00 | 367 | ორჰუსი-ბრიონდბიუ | 4.30 | 3.40 | 1.75 | 1.89 | 1.24 | 1.15 |
| 19:00 | 368 | კოპენჰაგენი-სილკებორგი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

**28 აგვისტო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 377 | ოდ გრენლანდი-სტარტი | 2.60 | 3.40 | 2.40 | 1.47 | 1.24 | 1.40 |
| 20:00 | 379 | მოლდე-ვიკინგი | 2.25 | 3.30 | 2.85 | 1.33 | 1.25 | 1.52 |
| 20:00 | 380 | ტრომსიო-ალესუნდი | 1.70 | 3.50 | 4.60 | 1.14 | 1.24 | 1.98 |
| 20:00 | 381 | ჰამარი-ლილესტრიომი | 2.30 | 3.30 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.50 |
| 22:00 | 382 | ვოლერენგა-ბოდიო გლიმტი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |

**29 აგვისტო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 383 | ბრანი-ფრედრიკსტადი | 1.80 | 3.50 | 4.00 | 1.18 | 1.24 | 1.86 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

**25 აგვისტო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 398 | ელფსბორგი-გიოტებორგი | 2.50 | 3.30 | 2.55 | 1.42 | 1.26 | 1.43 |

**შვედეთი. სუპერეტა**

**25 აგვისტო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 413 | ატვიდაბერგი-გაის | 2.60 | 3.30 | 2.30 | 1.45 | 1.22 | 1.35 |

**ბრაზილია**

**25 აგვისტო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 472 | კურიტიბა-ფორტალესა | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 23:45 | 473 | ფიგეირენსე-ატლეტიკო მნ | 1.85 | 3.30 | 3.55 | 1.18 | 1.21 | 1.71 |
| 23:45 | 474 | ბოტაფოგო-ინტერნასიონალი | 2.05 | 3.20 | 2.95 | 1.24 | 1.20 | 1.53 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|

**ურუგვაი**

**25 აგვისტო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 487 | ნასიონალი-პლასა | 1.25 | 4.40 | 8.50 | 1.00 | [illegible] | [illegible] |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**უეფას თასი**

**25 აგვისტო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 524 | დომჟალე-აშდოდი | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 19:00 | 525 | ტეპლიცე-მტზ რიპო | 1.30 | 4.20 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.75 |
| 20:00 | 527 | ბ.ბისტრიცა-გროცლინი | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 20:00 | 528 | პლოცკი-გრასჰოპერი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 20:00 | 529 | დნიპრო-ბანანცი | 1.10 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 20:00 | 530 | მეტალურგი(დ)-სოპრონი | 1.30 | 4.20 | 7.00 | 1.00 | 1.09 | 2.62 |
| 20:00 | 531 | რიეკა-ლიტექსი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 20:00 | 532 | ზენიტი-პაშინგი | 1.35 | 4.30 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.58 |
| 21:00 | 533 | მაკაბი(თ.ა)-აპოელი | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 21:00 | 534 | ვარდარი-რაპიდი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 21:00 | 535 | ვიკინგი-რილი | 1.10 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 4.21 |
| 21:00 | 536 | ბ36 ტორშავნი-მიდტიულანდი | 6.50 | 3.80 | 1.40 | 2.39 | 1.15 | 1.02 |
| 21:00 | 537 | ტრომსიო-ესბიერგი | 2.10 | 3.20 | 2.95 | 1.26 | 1.22 | 1.53 |
| 21:15 | 538 | ლევსკი -პუბლიკუმი | 1.40 | 3.80 | 6.50 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 21:30 | 539 | ომონია-დინამო(ბქ) | 2:65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 22:00 | 540 | ციურიხი-ლეგია | 1.75 | 3.50 | 3.75 | 1.16 | 1.19 | 1.81 |
| 22:00 | 541 | ბატე-კრილია | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 22:00 | 542 | ბეშიქთაში-ვადუცი | 1.10 | 6.50 | 13.00 | 1.00 | 1.01 | 4.33 |
| 22:00 | 543 | ალიანსი-ბრანი | 2.90 | 3.10 | 2.15 | 1.49 | 1.23 | 1.26 |
| 22:00 | 544 | ლოკომოტივი(პლ)-ოფკ | 2.05 | 3.00 | 3.20 | 1.21 | 1.24 | 1.54 |
| 22:15 | 545 | შიროკი ბრიეგი-ზეტა | 2.15 | 3.20 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.50 |
| 22:15 | 546 | ცრვენა ზვეზდა-ინტერი(ხორვ) | 1.30 | 4.00 | 7.40 | 1.00 | 1.10 | 2.59 |
| 22:15 | 547 | გრაცერი-ნისტრუ | 1.15 | 5.80 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.79 |
| 22:15 | 548 | აუსტრია-ჟილინა | 1.25 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 2.88 |
| 22:30 | 549 | კორკი-იურგორდენი | 3.00 | 3.20 | 2.05 | 1.54 | 1.21 | 1.24 |
| 22:30 | 550 | კარმარტენი-კოპენჰაგენი | 7.00 | 4.00 | 1.35 | 2.54 | 1.13 | 1.00 |
| 22:45 | 551 | ლინფილდი-ჰალმსტადი | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 22:45 | 552 | გენკი-მეტალურგსი | 1.15 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.66 |
| 22:45 | 553 | დანდი იუნაიტედი-მიუპა | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 23:15 | 554 | კეფლავიკი-მაინცი | 6.20 | 4.00 | 1.40 | 2.43 | 1.14 | 1.03 |

**უეფას სუპერთასი (მონაკოში)**

**26 აგვისტო**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 613 | ლივერპული-ცსკა(მ) | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო
ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით
CROCO
BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%



# ოქროს თაობა

**გუშინ გამთენიისას საქართველოს 16-წლამდელ ბეისბოლისტთა ნაკრები ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნდა. მაინის შტატის ქალაქ ბენგაიში 14-20 აგვისტოს მსოფლიოს რეგიონალური ჩემპიონატი ჩატარდა. ევროპის რეგიონის სახელი ქართველებმა დაიცვეს. ეს უფლება ნუგზარ კაპანაძის შეგირდებმა აგვისტოს დასაწყისში პოლონეთში ჩატარებული ევროპირველობის ჩემპიონობით მოიპოვეს. მსგავსი მიღწევა ქართული ბეისბოლის ისტორიაში არ მოიძებნება. საოცრად პერსპექტიული თაობის მთავარი საფიქრალი პეკინის 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრაა, თუმცა ჯობს, თანმიმდევრულად მივყვეთ. ამერიკიდან სულ რამდენიმე საათის ჩამოსული ნუგზარ კაპანაძე ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა.**

— საქართველოს ფარგლებს გარეთ თითქმის ერთი თვე გავატარეთ. ორი უდიდესი ტურნირი ვითამაშეთ და ერთხელაც დავრწმუნდით, რომ შესანიშნავი თაობა გვეზრდება.

**— ელოდით ევროპის ჩემპიონობას?**

— ჯერ კიდევ პოლონეთში გამგზავრებამდე, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურთან შეხვედრისას ვთქვით, რომ ოქროს მედლისთვის ვიბრძოლებდით. ამაში, ცხადია, დარწმუნებულნი არ ვიყავით, მაგრამ ძალიან დიდი იმედი კი გვქონდა. ასეთი განცხადება ბიჭების საოცარი შემართებიდან და მომქანცველი ვარჯიშებიდან გამომდინარე გავაკეთეთ. საბედნიეროდ, არც შევმცდარვართ.

**— როდის ირწმუნეთ, რომ გუნდს ჩემპიონობა შეეძლო?**

— პირველივე შეხვედრის შემდეგ. ევროპის მრავალგზის ჩემპიონ ჰოლანდიას ისე მოვუგეთ (14:4), მცირე შანსიც კი არ დავუტოვეთ. ჩვენთან დამარცხებამ ჰოლანდია ისე არია, ფინალში გასვლის შესაძლებლობა მალევე დაკარგა, ჩვენს ბიჭებს კი რწმენა კიდევ უფრო გაუძლიერდათ. მეორე წრეში გერმანიასაც დიდი ანგარიშით ვძლიეთ — 20:13, მესამე-მეოთხე წრეებში კი შედარებით დიდ წინააღმდეგობას წავაწყდით. ავსტრიას 4:2 მოვუგეთ, ხოლო პოლონეთს 4:1, მაგრამ ეს არანაირად არ ნიშნავს, რომ რომელიმე გერმანიაზე უკეთესი გუნდი იყო. უბრალოდ, მათ უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ. თუ ჩვენთანაც წააგებდნენ, ფინალში მოხვედრის შანსს კარგავდნენ. ამიტომ ბოლო ძალები მოიკრიბეს და თავი შეგვაკლეს. გაცილებით იოლად გავუსწორდით იტალიელებს. აპენინელებს ათ ქულაზე მეტი სხვაობით ვაჯობეთ. არადა ტურნირის დაწყებამდე ჩემპიონობის უმთავრეს კანდიდატებად ჰოლანდიელებთან ერთად სწორედ ისინი ითვლებოდნენ. ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე ჩვენ და გერმანია გავედით. ფინალიც ვითამაშეთ და 14:4 მოვიგეთ.

**— და ოქრო და მსოფლიოს საგზური მოიპოვეთ...**

— ენით აუწერელი სიხარული განვიცადეთ. თუ ფინალს წავაგებდით, თბილისში ვბრუნდებოდით, თუ არა, ამერიკაში წავიდოდით. თამაშის დაწყებამდე აბსოლუტურად ყველა დარწმუნებულები ვიყავით, რომ თბილისის ნახვა ცოტა გვიან მოგვიწევდა.

**— ჩემპიონობა საქართველოდან ვინ მოგილოცათ?**

— ყოველი თამაშის შემდეგ ვრეკავდით ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტ რამაზ გოგლიძესთან. ფინალის შემდეგაც ასევე მოვიქეცით, ცოტა ხანში კი დავით ნამგალაურიც შეგვეხმიანა.

**— საინტერესოა, პოლონელი მაყურებლები როგორ შეხვდნენ ქართველების ჩემპიონობას?**

— პატარა ქალაქ მეისკა გაორკას კოხტა სტადიონზე ქართველი გულშემატკივრები არ შეგვინიშნავს, მაგრამ ადგილობრივთაგანაც დიდ მხარდაჭერას ვგრძნობდით. თამაშიდან თამაშამდე გულშემატკივართა რაოდენობა საგრძნობლად იზრდებოდა. მათგან ისეთი სითბო მოდიოდა, ცოტა ხნის წინ ვერც კი წარმოვიდგენდით.

**— ცხადია, სპეციალისტებიც არ ელოდნენ ასეთ შედეგს. მათი შეფასებები როგორი იყო?**

— ჩვენი გუნდი ფავორიტად არ მიიჩნეოდა, მაგრამ წარმატებული თამაში ბევრს არც გაჰკვირვებია. ამ ბიჭებმა ანალოგიურ ტურნირზე 2001-2002 წლებშიც ითამაშეს 11-12-წლიანებში და ერთხელ მესამე, ერთხელაც მეორე ადგილი დაიკავეს. მართალია, უსახსრობის გამო შემდეგი ორი წელიწადი გაუცდათ, მაგრამ გარკვეული გამოცდილება მაინც ხომ ჰქონდათ მიღებული. რაც შეეხება სპეციალისტთა აზრს, ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი ამერიკელი მსაჯების შეფასებებია. აღფრთოვანებულები გვეუბნებოდნენ, ამ პატარა ბიჭებმა მოედანზე ისეთი ცეცხლი დაანთეს, დიდების თამაშებშიც ძნელად ნახავო. მოგვიანებით მთელი გუნდი პიცერიაში მიგვიპატიჟეს და ფულიც კი გვაჩუქეს.

**— მსოფლიოს ჩემპიონატამდე დარჩენილ დღეებში გუნდმა პოლონური შეკრების გავლაც მოასწრო...**

— სასტუმროსა და სავარჯიშო მოედნების ხარჯები მთლიანად ორგანიზატორებმა გადაიხადეს. ჩვენ მხოლოდ კვებაში გვეხარჯებოდა ფული. საოცარ ყურადღებას და პატივისცემას ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდით. სხვა ქვეყნის ნაკრებების გამოცდილი მწვრთნელები ვარჯიშებზეც კი გვესწრებოდნენ და საჭირო რჩევებსაც გვაძლევდნენ.

**— მივუახლოვდით მსოფლიოს ჩემპიონატს, რომელიც ევროპის ჩემპიონმა წარუმატებლად დაიწყო.**

— არ მინდა, თავის მართლებაში ან ქებაში ჩამეთვალოს, მაგრამ მსოფლიოზე უკეთესად თამაში სულ ადვილად შეიძლებოდა. დავიწყოთ იქიდან, რომ ამერიკაში გუნდი ორ ნაწილად გაემგზავრა, ყველას ერთ რეისზე მოხვედრა ვერ მოხერხდა. პარიზი-ბოსტონის მარშრუტით წასულები ამერიკაში დროულად ჩავიდნენ, დანარჩენი რვა წევრი კი სამი დღით ლონდონში, ჰიტროუს აეროპორტში გავიჭედეთ „ბრიტიშ აირვეისის" თანამშრომელთა გაფიცვის გამო. ბოსტონში 14 აგვისტოს, დილის ხუთ საათზე ჩავაღწიეთ, საღამოს კი უკვე თამაში გვქონდა. გუნდის წევრთა უმეტესობამ აკლიმატიზაცია ვერ მოასწრო და პირველი სამი მატჩი



გარდა იმისა, რომ წავაგეთ, ჩვეული შემართებითაც ვერ ჩავატარეთ.

**— ამ სამი მატჩიდან ორში ამერიკულ გუნდებთან დამარცხდით. რა პრინციპით იყვნენ ისინი შერჩეულნი?**

— ევროპისა და მსოფლიოს რეგიონალური ჩემპიონატების ორგანიზატორი ამერიკის შეერთებული შტატებია. ჯერ რეგიონებში ტარდება ტურნირები (სულ ათი რეგიონია), შემდეგ კი მხოლოდ ჩემპიონები უპირისპირდებიან ერთმანეთს მსოფლიოს ჩემპიონატზე. ჩვენ ევროპის წარმომადგენლები ვიყავით და შესაბამისად, მაისურებზე ევროპა გვეწერა.

**— ბოლო ტურში პანამას მოუგეთ...**

— ეს მატჩი ჩვენმა გუნდმა ჩვეულად ჩაატარა და შედეგმაც არ დააყოვნა — 2:1 ვიმარჯვეთ. მანამდე პანამამ ჩვენს მძლეველ გუნდებს მოუგო და ცალი ფეხით უკვე ფინალში იყო. ჩვენთან წაგების შემდეგ კი ამის შანსი დაკარგა. მსოფლიოს ჩემპიონატი ამ მატჩით რომ დაგვეწყო, გაცილებით მაღალ შედეგს ვაჩვენებდით.

**— ეს ბიჭები გაისად ანალოგიური ტურნირისთვის გადაზრდილები იქნებიან. მათთვის სხვა შეჯიბრებებს გამოძებნით?**

— ტურნირი ოთხ ასაკობრივ ჯგუფში ტარდება. ყველაზე უფროსები 16-18 წლისანი არიან და ჩვენი ჩემპიონი გუნდი გაისად სწორედ იქ ითამაშებს.

**— მთავარი ეროვნული ნაკრების ძირითად ბაზასაც ეს მოთამაშეები შეადგენენ, თუ უფროსებიც დაემატებიან?**

— სამწუხაროდ, უფროსებში გუნდი არ გვყავს. ასე რომ, ძირითადი ნაკრებიც ამ გუნდით დაკომპლექტება, თუმცა აქ ერთი პრობლემაა. საერთაშორისო წესებით, დიდ ნაკრებში 18-წლამდე ასაკის მხოლოდ სამი სპორტსმენის შეყვანაა ნებადართული, ამ ბიჭების ასაკი კი 15-16 წელია.

**— პეკინის 2008 წლის ოლიმპიადა ბეისბოლისტებისა და სოფთბოლისტებისთვის ბოლოა. შეძლებს საქართველოს ნაკრები ფინალურ ეტაპზე მოხვედრას?**

— ოლიმპიადის შესარჩევი ძირითადი ეტაპი 2007 წელს დაიწყება. იმ დროისთვის ეს ბიჭები ნაკრების სრულუფლებიანი წევრები იქნებიან და, დარწმუნებული ვარ, რეალურად შესწევთ ოლიმპიური საგზურის მოპოვების ძალა.

**— ბოლოს სამომავლო გეგმებზეც ვთქვათ. რომელიმე ტურნირისთვის ხომ არ ემზადებით?**

— წინ უამრავი ტურნირია, მაგრამ ჩვენ რომელზე ვითამაშებთ, ან საერთოდ შევძლებთ თუ არა თამაშს, მთლიანად ფინანსებზეა დამოკიდებული. თქვენ წარმოიდგინეთ, ევროპის ჩემპიონატზეც კი ვერ მივდიოდით, ქალაქის სპორტის სამსახურის უფროსი გიორგი უდესიანი და ჩვენი სკოლის დირექტორი ავთო მენაბდე რომ არ ამოგვდგომოდნენ მხარში. ჩემი ვარაუდით, საერთაშორისო ტურნირებზე მიწვევებს ბლომად მივიღებთ. თუ დაფინანსება იქნება და საერთაშორისო გამოცდილება არ მოგვაკლდება, ეს ნიჭიერი თაობა მალე უფრო დიდ გამარჯვებებს მიაღწევს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# არაგენტური აგენტი

## გოდერძი კორძაძე ირანში ქართველებს მფარველობს



**შარშან** რომ ერთი დავიდარაბა იყო ატეხილი ქართულ კალათბურთში, მოთამაშეებს ეროვნული ჩემპიონატი არ უნდათ, ირან-აზერბაიჯანში მირბიანო, წლეულს უნდა ნახოთ. ბადრი პატარკაციშვილმა თბილისის „დინამოს" დაფინანსება შეუწყვიტა და, როგორც ამბობენ, მომავალ სეზონში არ ითამაშებს. იქით „სტ-ჯეოსელს" გაექცა „ჯეოსელი" და ტექნიკოსებიც უფულოდ არიან. იმედისმომცემიც რომ არაფერი ისმის, წავლენ, ეს ქართველი მოთამაშეები საზღვარგარეთ, აბა, რას იზამენ. გასულ სეზონში ირანში 6-7 ქართველი თამაშობდა, ახლა კი 30 კალათბურთელი აპირებს სპარსეთში წასვლას, რომლებმაც საქმე გოდერძი კორძაძესთან, ირანის ლიცენზირებულ მენეჯერთან დაიჭირეს. გუშინ გოდერძი რედაქციაში გვეწვია და ჩვენთან საუბარი მისი ირანული კარიერით დაიწყო.

— ირანში მენეჯერობას მწვრთნელობასაც ვუთავსებ, უახლოეს მომავალში ალბათ ახალ კლუბთან გავაფორმებ კონტრაქტს.

**— როდის მიემგზავრებით?**

— აგვისტოს ბოლოს ვარ დაბარებული კლუბ „მახრანში", სადაც მაისში უკვე ვიყავი გასინჯვაზე და, როგორც ჩანს, გუნდის ხელმძღვანელობას მოვეწონე. მითხრეს, ჩამოდი და კონტრაქტსაც მაშინ გაგიფორმებთო. შეთანხმებულები ვართ, რომ ახალგაზრდული გუნდის მთავარი და დიდების ასისტენტი მწვრთნელი ვიქნები. „მახრანი" ძლიერი გუნდია, გასულ სეზონში პლეი ოფში ითამაშა, მაგრამ ჩემპიონობას ვერ შესწვდა.

**— მწვრთნელობა მენეჯერობაში ხომ არ შეგიშლით?**

— არა, გასულ სეზონშიც ვუთავსებდი ამ ორ სამუშაოს და გამოცდილებაც შევიძინე. თუმც ისიც სათქმელია, რომ მე მხოლოდ ქართველებთან არ ვთანამშრომლობ, ახლახან მსოფლიოში ცნობილი სატრანსფერო სააგენტო „ინტერპერფორმენსის" ლიცენზირებული მრჩეველი გავხდი. თბილისში იყო ამ სააგენტოს პრეზიდენტი, ლუჩანო კაპიტიონი და ის ირანული ჩემპიონატის ათვისებითაც ძალიან დაინტერესდა. მან გამომკითხა, თუ რა თანხებზეა სპარსულ კლუბებში საუბარი და როგორ მოთამაშეებზეა მოთხოვნა. კონტრაქტი ოფიციალურად გამიფორმეს და ამიერიდან ამ სააგენტოს კლიენტებსაც დავეხმარები ირანულ კლუბებში მოსაწყობად.

**— თქვენამდე ირანში ქართველებს ვინმე ამირი ეხმარებოდა...**

— ამირიც ისეთივე მოხელე გახდა „ინტერპერფორმენსის", როგორც მე. ჩვენ ერთად ვიმუშავებთ, თუმც აქამდეც ერთად ვიყავით.

**— ახლა ალბათ ყველა ქართველი შენს ხელში გაივლის, თუ ირანში მოისურვებს წასვლას...**

— რა თქმა უნდა, ყველასთან მაქვს კავშირი და ეს არა იმიტომ, რომ ჩემზე უკეთესი აგენტები არ არიან. უბრალოდ, მე უფრო კარგად ვიცნობ იქაურებს და შემიძლია, მაქსიმალურად კარგი პირობების კლუბი შევურჩიო ამა თუ იმ ჩვენიანს. ირანელებს, რა თქმა უნდა, ისე არ შესტკივათ გული ქართველებზე, როგორც მე და შესაბამისად ბევრი მენეჯერი არ იბრძოლებს იმისთვის, რომ თუნდაც 100 დოლარით მეტი ხელფასი დაენიშნოს აქედან ჩასულ მოთამაშეს.

**— ახლა, როცა არაერთი კლუბი დაიშალა, საქართველოდან ირანში წამსვლელთა ნაკადიც გაიზრდება. მაინც რამდენნი არიან?**

— სანამ მათ რაოდენობას გეტყოდეთ, ერთ ფაქტს აღვნიშნავ. პირველად ირანში ორი წლის წინ წავედი და ჩემმა მეგობრებმა ეს რომ შეიტყვეს, გაოცებას ვერ მალავდნენ. ზოგი თანამიგრძნობდა კიდეც, შენ არ იცი, რა არის ირანიო. შარშან საქართველოდან ათამდე კალათბურთელი ჩავიდა ირანში, მაგრამ ზოგიერთმა ვერ მოახერხა კარგ გუნდში მოწყობა, დღეს კი უკვე 30-მა მოთამაშემ გამოთქვა წამოსვლის სურვილი. ამით იმის თქმა მინდა, რომ თუ ირანი არ ვარგა, წამსვლელთა რაოდენობა ხომ არ გაიზრდებოდა. იქ კარგი პირობებია და დონეც საქართველოსაზე მაღალია.

**— რას ფიქრობთ, ყველას მოუძებნით ადგილს?**

— არა მგონია. ახლახან ირანში დიდი დავა-კამათი იყო. უნდოდათ, ლეგიონერთა ოდენობაზე ლიმიტი შეემცირებინათ. ითხოვდნენ, ერთ უცხოელზე მეტი გუნდში არ იყოსო. რამდენიმე დღის წინ გადაწყდა, რომ ლიმიტი არ შემცირდებოდა, ანუ თითო გუნდს ისევ 3 ლეგიონერის ყოლის უფლება ექნება. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ირანში ქართველების გარდა ამერიკელები, რუსები და ევროპის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც არიან, 30 ქართველის წასვლა თითქმის გამორიცხულია. თუ პირველ ლიგაში თამაშზე არ იტყვიან უარს, ყველაფერი შესაძლებელია.

**— გამართლებულად მიგაჩნიათ, რომ ამდენი მოთამაშე მიდის საზღვარგარეთ?**

— რა თქმა უნდა, არავის არ გაუხარდება, თუ საქართველოს ჩემპიონატი მოთამაშეებისგან დაიცლება. ჩემი საქმე მენეჯერობა კია, მაგრამ მე მოთამაშეს ირანულ კლუბში გადასვლას არ შევთავაზებ, თუ მინიმუმ ორჯერ მეტი ხელფასი არ ექნება, ვიდრე საქართველოში. აგენტის მოვალეობაა, დაარწმუნოს კლიენტი, ითამაშოს ამა თუ იმ გუნდში და რაც უფრო მეტს დაიყოლიებს, მეტი მოგება დარჩება. მე კი განსაკუთრებული მენეჯერი ვარ, არ ვცდილობ ჩემი კლიენტი ისეთ რამეში დავარწმუნო, რაც მე მაძლევს ხელს და იმისთვის შედარებით არახელსაყრელია. თუ საქართველოდან წასულები მაქსიმალურად კარგ პირობებში არ იქნებიან, მე ამ საქმეს არ გავეკარები.

**— ჯერჯერობით ვისზე შეგიძლიათ თქვათ, რომ ირანში სათამაშოდ მიდის?**

— ყველაზე რეალური ვარიანტი კოტე ტულუშს აქვს. მას შარშან კარგი გასამრჯელო ჰქონდა და ახლა ორმაგს სთავაზობენ. ის ალბათ უახლოეს დღეებში წავა ირანში. ჯერჯერობით მხოლოდ კოტეს აქვს გარანტირებული ირანული კლუბი, დანარჩენებს კი კარგ იღბალს ვუსურვებ და ყველანაირად დავეხმარები.

**ირაკლი პერტაია**



ჰილარი ლისტერმა იალქნიანი ნავით ლა მანშის სრუტე გადაცურა. იქნებ ამ ამბავზე ყურადღება სულაც არ გაგვემახვილებინა, რადგან იალქნიანი ნავით ლა მანშის გადაცურვა პრობლემა სულაც არ არის მაშინ, როცა იგი ნიჩბიანი ნავითაც დაუძლევიათ, ვარცლითაც და, უბრალოდ ცურვითაც



# სუნთქვა და თვალის ჩინია ჰილარი ლისტერის ერთადერთი იარაღი

**აი,** 33 წლის ინგლისელი ჰილარი ლისტერის „ოდისეა" კი იმითაა განსაკუთრებული, რომ ეს ქალბატონი უკვე ოთხი წელიწადია, რაც... აბსოლუტარად დამბლა დაცემულია. მას პროგრესირებადი რეფლექტორული დისტროფია აქვს. მას მხოლოდ თავის, პირისა და თვალების მოძრაობა შეუძლია. მიუხედავად ამისა, ორიოდე წლის წინათ იგი აფროსნობამ გაიტაცა, რათა საკუთარი რწმენა განემტკიცებინა.

ჰოდა, ამ უბედურმა ქალმა დაადო თავი და ლა მანში გადაცურა დუვრიდან კალემდე, რასაც 6 საათი და 13 წუთი მოანდომა. ლისტერი იალქნიან ნავს მართავდა ელექტრონული სისტემით, რომელიც სუნთქვაზე რეაგირებდა.

ეს სისტემა დაფუძნებულია იმავე პრინციპებზე, როგორზეც ჰილარის საინვალიდო სავარძლის მართვის პანელებია.

ამ სისტემას აქვს ორი სასუნთქი მილი, რომელიც უკავშირდება გადამრთველს, რისი საშუალებითაც იმართება ნავის საჭე და იალქნები.

ამგვარი მართვით ჰილარიმ საფრანგეთის სანაპიროს რომ მიაღწია, ალტაცებით წამოიძახა, ჩემი წარმატებით სიგიჟემდე გახარებული ვარო. ამ გადაცურვით ლისტერმა აფროსნობაში ინვალიდებისთვის მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. მანამდე ასეთ ხანგრძლივ დამოუკიდებელ ცურვაში არცერთი ინვალიდი არ ყოფილა.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ორი წლის წინათ სიდნეიდან ჰობარტამდე გამართულ ყოველწლიურ საიალქნო რბოლაში, რომელშიც 57 იახტა მონაწილეობდა, იყო ერთი ეკიპაჟიც, რომლის ნახევარიც შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონენი იყვნენ: ზოგს კიდურები ჰქონდა მოკვეთილი, ნაწილს ზურგის ტვინის ავადმყოფობა ტანჯავდა, მესამენი კი ბრმები იყვნენ მათ კაპიტან დევიდ პესკუდს კი დისლექსია აწუხებდა.

მიუხედავად ამისა, ეს ინვალიდი მეზღვაურები საოცარი მოქნილობითა და მოხერხებულობით გამოირჩეოდნენ.

მანამდე ამ ეკიპაჟმა წარმატებით განახორციელა შეუჩერებელი ცურვა ავსტრალიის გარშემო, მაგრამ სიდნეიდან ჰობარტამდე ათასკილომეტრიანი ცურვა მაინც გამორჩეული იყო. მათი მარშუტი გადიოდა ტასმანიის ზღვაზე, მკაცრი ბასის ყურეში, შემდეგ კი შედარებით წყნარ წყლებში.



ამ მარშრუტის სირთულეზე ისიც მეტყველებს, რომ 1998 წელს, როცა იახტები ძლიერ შტორმში მოხვდნენ, ქარი საათში 170 კილომეტრის სიჩქარით ქროდა, რამაც 6 მეზღვაური შეიწირა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჰილარი ლისტერს, რომელიც ამბობს, რომ სპორტი ყოველთვის მიყვარდა და მუდამ აქტიური ცხოვრების წესს ვეწეოდი. ვცურავდი, რაგბსაც ვთამაშობდი და ჰოკეისაცო.

ახლა ამ გადაცურვის გამშუქებელი ტელეარხებისგან და გაზეთებისგან შემოსული თანხით ჰილარი აპირებს იმ ფონდის დახმარებას, რომელიც მოწოდებულია ინვალიდების სრულფასოვანი ცხოვრების გასაუმჯობესებლად. თავად კი, იმედოვნებს, რომ გაისად ბრიტანეთის კუნძულებს ისევ ეულად შემოუვლის.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# მინისტრი L'EQUIPE-ეს ბრალდებაზე

**საფრანგეთის** სპორტის მინისტრმა ჟან ფრანსუა ლამურმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია დაადასტუროს გამოცემა L'EQUIPE-ეს ბრალდების საფუძვლიანობა იმის თაობაზე, რომ „ტურ დე ფრანსის" ექვსგზის გმირმა ლენს არმსტრონგი ამ შეჯიბრებების პირველი რბოლა დოპინგის დახმარებით მოიგოო.

როგორც გუშინ ვიუწყებოდით, L'EQUIPE ირწმუნება, ჩვენ ხელი მიგვიწვდება ლაბორატორიულ დოკუმენტებთან, რომლებიც ინახავენ „უეჭველ" ფაქტებს იმის თაობაზე, რომ 1999 წლის „ტურ დე ფრანსის" რბოლისას აღებული არმსტრონგის შარდის ექვსი სინჯი ერიტროფოეტინის მიღებას ადასტურებსო.

„მე არ შემიძლია ამის დადასტურება. ვიცი, რომ 1999 წლის რბოლისას ერიტროპოეტინი გამოიყენეს, მაგრამ ზუსტად არაფრის თქმა შემიძლია" — გვამცნობს როიტერი ლამურის სიტყვებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სა-ამ-ფლეშინგმედოუზო განთესილობა

**აშშ-ის** წლევანდელ ღია პირველობაზე კაცთა და ქალთა ამქრებს, შესაბამისად, როჯერ ფედერერი და მარია შარაპოვა უთავჩოგნებენ. ფედერერი ხვადებს უკვე ზედიზედ 82 კვირაა, ყოჩობს, ნორჩი რუსგოგო კი, მოგეხსენებათ, თანასქესელ მეჩოგნეთა შორის მხოლოდ ამ კვირაში გაპირველოსანდა და დიდი მუზარადის რაგინდარა ტურნირზეც რანგით უზენაეს ჩოგანს პირველად გააქნევს.

ფედერერს, ვინაც ამავდროულად ტურნირის შარშანდელი ჩემპიონიც გახლავთ, განთესილთა ჩამონათვალში ესპანელი რაფაელ ნადალი, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი, ამერიკელი ენდი როდიკი და რუსი მარატ საფინი მოჰყვებიან. ჩოგბურთის ტრფიალთ დასტურ უნდა ახსოვდეთ, რომ ამათგან ბოლო სამი აშშ-ის ღია პირველობის ოდინდელი ჩემპიონები გახლავან.

ტურნირის ორგზის ჩემპიონი, 35 წლის დიადი არმენოამერიკელი ანდრე აგასი ამ ფლეშინგმედოუზობაზე რანგით მეშვიდე ჩოგნით აღიჭურვება.

რაც შეეხება მდედრიონს, შარაპოვას განთესვის კლებადობით მოსდევენ ტურნირის 1998 წლის ჩემპიონი დევენპორტი, ფრანგი ამელი მორეზმო, ბელგიელი კიმ კლაისტერსი და შარშანდელი ჩემპიონი სვეტლანა კუზნეცოვა. წლევანდელი როლანგაროსობის გამარჯვებული ჟუსტინ ენენ-არდენი მეშვიდეა, ტურნირის ოდინდელი ჩემპიონები — სერენა და ვინუს უილიამსები კი, შესაბამისად, მერვე და მეათე.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამქარს ორთავა გველეშაპი დაეპატრონა

**კაცთა** ამქრის პირველ-მეორეადგილოსანთა — როჯერ ფედერერისა და რაფაელ ნადალის საამსეზონო დომინაცია მართლაც უპრეცედენტოა. ამაზე მათ მიერ წლეულს მოხვეჭილი 9-9 ტიტულიც თვალსაჩინოდ მეტყველებს. შთამბეჭდავია მათ მიერ მოგებულ შეხვედრათა რაოდენობაც — ნადალი ცხრა მარცხის წილ უკვე 65 გამარჯვებას დაიკვეხს, ფედერერის ბალანსი კი ოდენ სამი მარცხის საპირწონედ 64 გამარჯვებაა. ამასთან, როჯერმა წლეულს ზედიზედ მესამედ იმარჯვა უიმბლდონობაზე, 19 წლის მალიორკელმა კი როლანგაროსობაზე კარიერის პირველი სლემტიტული ირგუნა.

მაგრამ მათი უპირატესობა განსაკუთრებით დამრთგუნველი მაინც მასტერსის სერიის ტურნირებზეა. წლეულს გამართული შვიდი მასტერსტურნირიდან შვიდივე ამათ მოიგეს, რაიც — ანუ ყველაფერი რომ მხოლოდ ორ მეჩოგნეს მოეგო— ადრე არასოდეს მომხდარიყო.

ფედერერმა მაიამობაზე, ინდიანუელსობაზე, ჰამბურგობასა და ცინცინატობაზე გაილაღა და პირველი მეჩოგნე შეიქნა, ერთ სეზონში მასტერსსერიის ერთბაშად ოთხი ტურნირი რომ ააოხრა. ნადალის ტიტულზარდახშაში კი წლეულს მონტეკარლოური, რომაული და მონრეალური მასტერსჯილდოები მოექცა.

საამმომენტოდ ჩემპიონთა რბოლის პირველ საფეხურზე მდგომ ფედერერს უკვე 1010 ქულა აქვს — ასე ადრიანად კი რბოლათა ხუთწლოვან ისტორიაში ათასქულიან თამასას ჯერ არავინ გადასცდენოდა.

მეორეადგილოსან ნადალის ქულადი მარაგი 838-ს შეადგენს. შესადარებლად საინტერესოა, რომ შარშან ამ დროს რბოლის ლიდერ ფედერერს 887 ქულა ჰქონდა, მეორეადგილოსან ენდი როდიკს კი — 597.

ახლა როდიკი მესამე ადგილზეა და თავის შარშანდელ მონაგარზე 50 ქულით ნაკლებს მოიძევს.

მომდევნო ალაგებზე გახლავან: ლეიტონ ჰიუიტი (400), ნიკოლაი დავიდენკო (371), გილერმო კორია (353), მარატ საფინი (346), გასტონ გაუდიო (343), ანდრე აგასი (315) და მარიანო პუერტა (294). ამათგან წლის დამლევს, 13-დან 20 ნოემბრამდე შანხაიში გასამართ რვაკაცა მასტერსთასზე მოსახვედრი საშვი ჯერ არც ერთს არ უშოვნია.

თავი ქუდში ანუ ჩოგანი შანხაიში ისევ მხოლოდ ამქრის უბობოლეს წყვილს დაეკვეხება.

# ნაპირველოსნარი გამარჯვებით დაბრუნდა


ლინდსი დევენპორტი


მარია შარაპოვა

**PILOT PEN TENNIS**

ნიუ ჰევენი. მაგარსაფარი.
საპრიზო 600 ათასი $

**პირველი წრე**

**დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — ნურია ლიაგოსტერა ვივესი ესპანეთი) 6:4 6:2; **ანა-ლინა გრიონეფელდი** (გერმანია) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:4 6:1

**მეორე წრე**

**ლინდსი დევენპორტი** (1, აშშ) — კვეტა პეშკე (ჩეხეთი) 6:4 6:1; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 6:2 6:4; **ანაბელ მედინა გარიგესი** (ესპანეთი) — ხისელა დულკო (არგენტინა) 6:0 6:7 (10:12) 6:4

**ამქრის** ამკვირამდელი პირველოსანი ლინდსი დევენპორტი აშშ-ის ღია პირველობისთვის სამზადისში მხოლოდ უკანასკნელ მომენტში, პირველობამდე ოდენ ერთი კვირით ადრე ჩაერთო. მაგრამ სხვანაირად ის ვერც მოიქცეოდა, რადგანაც უიმბლდონურ ფინალში ვინუს უილიამსთან დამარცხების მერე იძულებული გახლდათ, კორტს მტკივანი ზურგის სამკურნალოდ განრიდებოდა.

ამ უქმობის გამო ლინდსიმ შარშან ივლისაგვისტოშივე სტენფორდში, სან დიეგოსა და ლოს ანჯელესში გაჩემპიონებით ნაშოვნი სარეიტინგო ქულების დაცვა ვერ მოახერხა და მდედრიონის სეფეჩოგანი პირველ მადევარ მარია შარაპოვას გადააბარა. „ამკვირამდელ პირველოსნადაც“ ამ აბზაცის დასაწყისში სწორედ იმიტომ მოვიხსენიეთ, რომ — როგორც ჩვენს საქმეში ჩახედულ მკითხველს ემახსოვრება — „გადაბარების პროცედურა“ ამ კვირაში განხორციელდა.

ამბობენ, რომ უკეთუ ლინდსი ნიუჰევენობაზე, სულ მცირე, ფინალამდე მაინც მიაღწევს, ამ კვირაში მოუქმე შარაპოვასგან პირველოსნობის უკუპყრობაც გამოუვა. თუმცა სა-აშშ-ის-ღია-პირველობოდ ამას აზრი მაინც არ ექნება, რადგანაც გუშინ გამოქვეყნებული სიების თანახმად, დიდი მუზარადის უკანასკნელ საამსეზონო ტურნირზე ქალთა შორის რანგით ყველაზე მაღალ ჩოგანს ყველა ვარიანტში შარაპოვა გააქნევს. ოღონდ, აშშ-ის ღია პირველობაზე ზეპურ განთესილთა შესახებ ჩვენ ცალკე წავისაუბრებთ, ახლა კი, ხამს, ლინდსის დაბრუნებას ბოლომდე ჩავუღრმავდეთ.

თუმცა მაინცდამაინც ჩასაღრმავებელი აქ არც არაფერია — 29 წლის სამგზის სლემტიტულოსან ამერიკელს ზურგის ტრავმისა ალარაფერი ეტყობა. ჩანს, რომ ბარაქიანად ნამკურნალება და იმავდროულად არც ჩოგანს გადასჩვევია. ყოველ შემთხვევაში, უსახელო ჩეხ კვეტა პეშკეს გაუჯანჯლებლივ, სულ რაღაც 52 წუთში გაუსწორდა. კორტზე რომ გავდიოდი, მეშინოდაო, ამბობდა ის მერე, ახლა კი თავს ხოშიანად ვგრძნობ და, ვიშ, როგორ ასწორებს, არავითარი პრობლემა რომ არ მაწუხებსო.

სხვაფრივ, ზეპურ დიაცთაგან იმ დღეს მსოფლიოს რეიტინგსიის მეექვსეადგილოსანმა ელენა დემენტიევამაც იბურთავა და თვისტომ ვერა დუშევინას ასევე დამაჯერებლად აჯობა. ერთი ეგ იყო, მეორე სეტში 4:0 რომ უპირატესობდა, სადავეები მოაბოშა და მეტოქეს წამოწევის საშუალება მისცა. თუმცა სერიოზულ გართულებამდე საქმე მაინც არ მიუყვანია და მოსაგები ორ სეტში მოიგო.

# საერთო ხედი

*და ისევ 36-ე Solitarie du Figaro, რეგატა, რომელიც ესპანეთში დაიწყო, საფრანგეთში ამოისუნთქა და ირლანდიაში დამთავრდება. ხომ ლამაზია?*




AFP ჟოსსპლეგენიდან



AFP რობვევოლინგიდან

# სამბა

*შენ დაუკა... შეჯიბრებას ჰქვია Rip Curl Pro Super Series. დადექით და თარგმნეთ. მოკლედ, სერფინგია, სადაც ამ ავსტრალიელმა კაცმა, რომელსაც სახელად სამბა მენი ჰქვია, ნაღდი ბრაზილიელები პაბლო პაულინიუ და რიკარდუ აზევედუ დაამარცხა. ჯამბა მენი მეორე ეტაპზე გავიდა.*

# ექვსი წლის წინო, კაცო!

*ექიმი ჟაკ დე კურისი ლაბორატორიაშია და იმ ქაღალდებს ქექავს, რომელთა თანახმად ცნობილი ამერიკელი ველომრბოლის, ლენს არმსტრონგის ექვსი წლის წინანდელ შარდის სინჯში ერითროპოეტინი აღმოაჩინეს. შეგახსენებთ, არმსტრონგი „ტურ დე ფრანსის“ შვიდგზის გამარჯვებულია.*



AFP პარი ზიდიან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge